# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 247 (6347)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




ვინ არიან ზურაბ ჟვანიას შესაძლო მკვლელები და სად ინახება ამ ტრაგიკული მოვლენის მონაწილეთა საუბრის ამსახველი აუდიოკასეტა, რომელსაც გერმანიაში ჩაუტარდა ექსპერტიზა? სახალხო სასამართლო ამ კითხვებს მალე უპასუხებს.

## „უექსპერტიზოდ ამ კასეტას ფასი არა აქვს“ 3

## სიმონ ხეჩინაშვილი - 90

# დიდი სახელი დიდმა საქმემ იცის...



## მრავალთათვის მაგალითად იქცა

### კვლავაც დღეგრძელობა მიანიჭოს უფალმა

ბატონ სვიმონ ხეჩინაშვილს გულითადად ვულოცავ დაბადებიდან 90 წლისთავს.

მან მიწიერი ცხოვრების წარმატებული გზა განვლო; უდიდესი მეცნიერი, აღიარებული მკურნალი და საზოგადო მოღვაწე მრავალთათვის მაგალითად იქცა. ამას ხელი შეუწყო პიროვნულმა თვისებებმა — სხვისი ტკივილის გაზიარების საოცარმა უნარმა, სიბრძნემ, თავმდაბლობამ, რწმენამ, საქმისადმი ერთგულებამ...

დაე, კვლავაც მრავალი წელი მიანიჭოს უფალმა ბატონ სვიმონს დღეგრძელობისა და კეთილდღეობისა.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

3 დეკემბერი, 2009 წელი

იხ. 6-7 გვ.

# გარევაჭრობამ ისევ შემოგვიტია



5 ბაზრები კვლავ დაცარიელდა, ქუჩები და მეტროს მიმდებარე ტერიტორიები ნაგვით აივსო!

**სირცხვილია, ხელისუფალნო!**

# რუსებისა და აფხაზების სატრანსპორტო ტინები 3

# ასო არა და, ერთი თქვენი ტვინი გამაზომინა!

## ისე კი თავად რამდენ- 2 სანტიმეტრიანს დაყაბულდებოდით?

კვლავ... სოდომისკენ?!

# ასო არა და, ერთი თქვენი ტვინი გამაზომინა!

## ისე კი, თავად რამდენ სანტიმეტრიანს დაჰყაბულდებოდით?

**მკითხველს ამთავითვე დიდი ბოდიში მინდა მოვუხადო ამ სათაურ-ქვესათაურისთვის იმის მიუხედავად, რომ ის უზნეობა, რამაც ასეთი „თავსაბურავიანი“ მასალის დაწერა გადამაწყვეტინა, ტელეიმედით, მთელი ქვეყნის დასანახ-გასაგონად „გაჟღერდა“.**

**„სიმართლის დროზე“ მოგახსენებთ, საზოგადოებრიობის უდიდეს ნაწილში ავად სახელგავარდნილ გადაცემაზე. ჩვენი გაზეთი თავის 26 ნოემბრის ნომერში უკვე წერდა მასზე („უფულოდ დარჩენილი „კოლორიტი“ და შეურაცხყოფილი მაყურებელი, ანუ აქა ამბავი პედერასტთა გატელევიზიებული პარადისა, არსებისა, რომელიც უკვე „ის თამრო“ აღარ არის და პატრონსასიკვდილე „ძროხისა“).**

მაშინ გადაცემის წამყვანი შალვა რამიშვილი იყო. დღეს ნანკა კალატოზიშვილი „ადგენს“ მტყუან-მართალს.

და სწორედ ამ პირმშვენიერი ახალგაზრდა ქალის მიერ „დასაკითხი“ ახალგაზრდა ვაჟისთვის საქვეყნოდ დასმულმა კითხვამ გამაოგნა და დამზაფრა (მკითხველთან ბოდიშს ვიხდი ამ კითხვის გამეორებისთვისძ — **სასქესო ასო სახაზავით თუ გაგიზომავსო!**

ღმერთო ჩემო, ვის რაში აინტერესებს, ამ კითხვაზე სიმართლეს იტყვის თუ ტყუილს „რესპონდენტი“?

ან ნუთუ მართლა ის აინტერესებს ვინმეს, რა სიგრძე-სისქისაა მისი „ის“ (ვისაც აინტერესებს, ბოდიში და, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროსძ?

თუმცა, ვინ იცის, იქნებ მავანნი იმ ჭკვიანი ჩიტის გამოცდილებას იყენებდნენ, რომელიც, ვიდრე კენჭს გადაყლაპავდეს, ჯერ კურტუმზე იზომავს, გამომეტევა თუ არაო.

**პაცმა რომ თქვას, ჩიტი თუ ამდენს ხვდება, ადამიანი ვითომ რატომ არ უნდა დაინტერესდეს, შემეტევა და გამომეტევა თუ არა „ისო“?**

კიდევ ერთხელ ბოდიშს ვიხდი ამ ძნელად წასაკითხ-მოსასმენი ვარაუდებისთვისაც. თან ხაზგასმით ვიტყვი: **ყველაფერი ეს ეხება არა იმდენად გადაცემის წამყვანს** (თუმცა, მე რომ ვინმემ მკითხოს, ასეთ კითხვას ქალი სახალხოდ არ უნდა სვამდეს!ძ, **რამდენადაც იმათ, ვის ტვინშიც იბადება და იხარშება ასეთი „სიმართლის დამდგენ-მაპროვოცირებელი“ კითხვები.**

ვინ არიან ისინი?

რა თქმა უნდა, ტელეიმედისა და „თი-ბი-სი სტუდიის“ წარმომადგენლები.

აი, რას ამბობს თვითონ შალვა რამიშვილი გაზეთ „ალიასთვის“ (№138, 26-27 ნოემბერიძ მიცემულ ინტერვიუში: **„მე „თი-ბი-სი სტუდიამ“ დამიქირავა როგორც გადაცემის წამყვანი, რომელსაც ევალებოდა გადაცემის წაყვანა... მე კითხვებს არ ვადგენდი, მაგრამ ჩემი თანხმობა, რომ დავსვამდი ამ კითხვას, იყო. არ ვემიჯნები“...**



ესე იგი, ასეთ „გენიალურ“ კითხვებს, თურმე სხვები იგონებენ და ხარშავენ თავიანთ გონებაში. ამ შემთხვევაში, თუ უშუალოდ „თი-ბი-სი სტუდიის“ თანამშრომლები არა, ყოველ შემთხვევაში, მის მიერ დაქირავებული „სპეციალისტები“.

ჰოდა, სწორედ და მხოლოდ მათი ტვინის გაზომვა მაინტერესებს („ის“ გამჩენმა თავადვე მოახმაროთ მშვიდობაში!ძ, რათა გავიგო ერთადერთი რამ:

**თქვე ოჯახაშენებულებო, როგორღა გაქვთ ტვინი ისე უკუღმართულად მომართული, ან განა რა ისეთ ჰონორარს იღებთ, მაყურებელთა გადამწყვეტი უმეტესობის ყოველდღიურ — შეკურთხება რომ გიღირდეთ?**

**ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ამგვარი „გადაცემები“ სჭირდება და წაადგება ხალხსა და ქვეყანას, ჩვენი ახალგაზრდობის ზნეობასა და ქართულ ტრადიცია-მორალს?**

იქნებ გვიპასუხოთ ამაზე?

**დაბოლოს, „სიმართლის დროის“ ახალი წამყვანის საყურადღებოდ:**

როგორც მოგახსენეთ, შალვა რამიშვილს უთქვამს, კითხვებს მე არ ვადგენდი, მაგრამ მათ დასმაზე თანხმობა განვაცხადეო.

**ჰოდა, თქვენც თუ ამგვარივე კონტრაქტს მოაწერეთ ხელი, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ეს დღეს და, თქვენი აზრით, რამდენად შვენის ასეთი კითხვების სახალხოდ დასმა ქართველ მანდილოსანს?**

**მით უფრო, რომ (მერწმუნეთ, მართალს გეუბნებით) თქვენი სამსახიობო ნიჭისა და შესანიშნავი გარეგნობის პატრონს სულაც არ გჭირდებათ ამგვარი იაფფასიანი „რეკლამა-პოპულარობა“ და არც ასეთ (ამასაც სრული პასუხისმგებლობით ვამბობ) სიბინძურეში მონაწილეობა გიხდებათ!**

რუსლან რუსია

კარუსელი

# ოკეანედაულეველი ოკეანედალეულმა შეცვალა

## ნიკა გვარამია ამერიკული ღირებულებების ასათვისებლად მიდის?

**რატომ სჭირდება განათლების სისტემას მაინცდამაინც პოლიციური მენტალიტეტის ადამიანი? ეს კითხვა განათლების მინისტრად ნიკა გვარამიას დანიშვნისთანავე გაჩნდა, როცა ის ძალოვანი უწყებიდან ისეთ უწყინარ დაწესებულებაში გადაიყვანეს, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა.**

ნიკა გვარამიას სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ის წინამორბედებისგან თუ კარდინალურად არა, შედარებით განსხვავებული მინისტრი იყო. მართალია, სკოლა და სასწავლო დაწესებულებები პოლიციურ განყოფილებებს დაამსგავსა, მაგრამ შედარებით ძველებურ რელსებს დაუბრუნა სახელმძღვანელოთა შერჩევის, სწავლების წახალისების პროგრამები. ყოველ შემთხვევაში, გვარამიას ხელმძღვანელობის დროს ასე ხელაღებით არ მიმდინარეობდა განათლების „მასონიზაცია“, გაუქმდა ყველაზე საშინელი „გამონაგონი“ — დირექტორების ლოტოტრონის წესით არჩევა, შემოიღეს „მედლების“ სისტემა (თუმცა ეს უფრო პრეზიდენტის დიდი სურვილი იყო, ვიდრე მინისტრისაძ, სასკოლო ოლიმპიადები და კონკურსები.

**ამის მიუხედავად, ნიკა გვარამია მაინც ერთგულად აგრძელებდა ათი წლის წინათ საფუძველჩაყრილ განათლების რეფორმას, რომელსაც საბჭოთა დროინდელი განათლების მოდერნიზაცია კი არა, აბსოლუტურად დანგრევა და მის ადგილზე ახლის შენება ედო საფუძვლად. ნგრევა, რა თქმა უნდა, ადვილად განხორციელდა, მაგრამ მის ადგილზე აღმოცენდა „ნეოგანათლება“, რომელსაც ლომაიას სახელით იცნობს საზოგადოება.**

**ნიკა გვარამიამ წინამორბედებისგან განსხვავებით, ამ გზას სულ ოდნავ გადაუხვია, ყოველ შემთხვევაში, აღიარებდა იმ შეცდომებს, რასაც რეფორმების კვალდაკვალ უშვებდა განათლების უწყება.**

რას იზამს დიმიტრი შაშკინი? პრემიერ-მინისტრმა მას კარგი მენეჯერი უწოდა. ეს „პროფესია“ ყველა უწყებას აუცილებლად სჭირდება. არა თუ უწყებას, ერთ ჩვეულებრივ ოჯახსაც კი, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი პრობაციისა და სასჯელაღსრულების მინისტრი ერთობ ბანალურად შეამკეს. მაგრამ არ ითქვა მთავარი — რა დამსახურების გამო მოდის ის განათლების სისტემაში. ამ სათუთ სფეროს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ სათუთ სფეროს რაში სჭირდება მაინცდამაინც ასეთი მენტალიტეტის ადამიანები?

ნუთუ საქართველოში არ მოიძებნა ინტელექტუალი ადამიანი, რომელმაც ეს სფერო იცის, გამოცდილია, მეტ-ნაკლებად ჩახედულია და ხვდება სად არის პრობლემა და როგორ შეიძლება ის გადაიჭრას?

როგორ არ არის, მაგრამ ასეთი პიროვნება, ეტყობა, ხელისუფლებას არ აძლევს ხელს. ამგვარად მოაზროვნე ადამიანი, ალბათ, სწორედ რეფორმების სათავეებს გამოუცხადებს ბრძოლას და ასე ნალოლიავებ, მილიონებდახარჯულ, „ფეხზე დამდგარ“ სისტემას ერთი ხელის მოსმით მოუღებს ბოლოს.





**შაშკინის ამ უწყებაში გადაყვანას, ალბათ, ერთ-ერთ საბაბად იმას მოუძებნიან, რომ არასრულწლოვნებს შორის გახშირდა კრიმინალი, რასაც თითქმის ყოველკვირეულად აშუქებენ სამთავრობო არხები. შეიძლება, თუმცა, მინისტრი „კრიმინალისტი“ ხომ არ უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ?! ნუთუ მას მხოლოდ ეს თვისება მოეთხოვება? ამ მხრივ ახალ მინისტრს, ალბათ, ბადალი არ მოეპოვება.**

მისი მინისტრობის დროს, თუმცა გვარამიას წვლილიც ამ საქმეში არა ნაკლებია, ყველაზე ხელსაყრელი გარემო შეიქმნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების პროგრამებისთვის. ამის ხელშესაწყობად ევროკავშირმაც საკმაოდ ბევრი თანხა გაიღო. ეს შეეხება: პატიმართა უფლებას, ეროვნულ გამოცდებში მიიღონ მონაწილეობა, პროფესიული განათლების დაუფლების ხელშეწყობას, პატიმართა დასაქმებას. იმის მიუხედავად, რომ შაშკინს არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი. თუნდაც ისეთი, როგორიც პატიმრისთვის ლოგინზე წოლაა (ბევრგან პატიმრობამისჯილებს იატაკზე წოლაც ჰქონდათ მისჯილიძ, თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ამ დროს თონეებს ხსნიდნენ და ცხელ შოთებს აცხობდნენ. ისიც ბიზნესის საკეთებლად.

ალბათ, ეს არის სწორედ მენეჯერობა, მსგავსი იდეები მას განათლების სამინისტროშიც „უხვად“ დასჭირდება, მაგრამ რისთვის? ეს შაშკინის საიდუმლოა, რომელსაც გზადაგზა აგვიხსნის. რა ვიცით, იქნებ მართლაც კარგი მინისტრი დადგეს, მაგრამ, ალბათ, არა განათლების მხრივ. ეროვნულ რელსებზე „გზასაცდენილი“ განათლების მობრუნება, ვგონებ, შაშკინსაც გაუჭირდება.

**ნიკა გვარამია უცხოეთში მიდის განათლების მისაღებად. სწავლა სიკვდილამდეო, ნათქვამია. მაგრამ, ალბათ, ამ კითხვასაც აქვს არსებობის უფლება — კი მაგრამ ადამიანს, წლების განმავლობაში მინისტრთა სავარძლებს რომ იცვლიდა, აქამდე ჯეროვანი განათლება არ უნდა ჰქონოდა?! ამის პასუხად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ კობა სუბელიანთან ერთად, ის ერთადერთი იყო, რომელსაც ჩვენს ხელისუფლებაში „ოკეანედალეული“ არ ერქვა და ამერიკული ღირებულებებით ტვინი გამოჭედილი არ ჰქონდა... ამ ნაკლს დიმიტრი შაშკინი უცილობლად აანაზღაურებს.**

თეა მოსია

**P. S. სხვათა შორის, ასე გაუშვეს სასწავლებლად უცხოეთში მინისტრობაგამოვლილი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც რამდენიმე თვეში მწარე ოპოზიციონერად დაბრუნდა და ლამის რევოლუცია მოუწყო ხელისუფლებას. დავიჯერო, გვარამიაც ასეთი საშიში იქნება?!**

თ.მ.

**სახალხო სასამართლო**

# „უექსპერტიზოდ ამ კასეტას ფასი არა აქვს“

***მასმედიით გახმიანდა ინფორმაცია, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის ამსახველი სკანდალური აუდიოჩანაწერი თბილისშია და მალე მას საზოგადოებრიობაც გაეცნობა. ამ საკითხით დავიწყეთ საუბარი სახალხო სასამართლოს ხელმძღვანელთან, ბატონ შიო არსენაშვილთან.***

— რაც ყველამ იცის, ჩვენც იგივე ინფორმაციას ვფლობთ. არსებობს კასეტა, რომელიც ზოგს ჰგონია, რომ თბილისშია, ზოგი ამბობს, ევროპის ქალაქებშია გადანაწილებული და მალე ჩამოიტანენ. მეც ჯერჯერობით ეს ამბავი ჭორად გავიგე, ყოველ შემთხვევაში, კასეტა არც მე და არც სასამართლოს რომელიმე წევრს არ უნახავს.

**— ამბობენ, რომ კასეტა თემურ შაშიაშვილთან ინახება...**

— ძალიან საეჭვოა, ბატონ თემურს ჰქონდეს ამ მომენტში. უფრო მართებული იქნება, ვთქვათ, რომ ბატონ თემურს მოასმენინეს. ყველამ იცის, რომ მას ტყუილები არ სჩვევია და, ალბათ, საკუთარი ყურით მოისმინა კიდეც. მაგრამ მეეჭვება, ეს მასალები მასთან იყოს, შესაძლოა, ვინმე უცნობ ადამიანს ან თუნდაც თქვენ უფრო გედოთ ჯიბეში, ვიდრე თემურ შაშიაშვილს. და ეს ბუნებრივიცაა.

**— ხალხი ლაპარაკობს, რომ ჩანაწერში გია ბარამიძის ხმის გარდა, მიხეილ სააკაშვილის ხმაც ისმის... თქვენ რაიმე გსმენიათ ამის შესახებ?**

— კი, მეც გავიგე ჭორად ამის თაობაზე, თითქოსდა სააკაშვილი ამბობს: გაიტანეთო... როცა ამ მასალას მოვიპოვებთ, გია ბარამიძეს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებსაც შევთავაზებთ ექსპერტიზის გავლას. ჩვენ ვაცხადებთ, უექსპერტიზოდ ამ კასეტას ფასი არა აქვს. როგორც ვიცი, ჩანაწერს უცხოეთში, გერმანიაში ჩაუტარდა ექსპერტიზა. თბილისში ჩამოტანის შემდეგ განმეორებით ექსპერტიზას მივმართავთ.

**— არ არის გამორიცხული, ხელისუფლებამ ეს კასეტა ყალბად მიიჩნიოს...**

— დღევანდელ პირობებში ექსპერტიზა მაღალ დონეზე ტარდება, მსოფლიოს სასამართლოებში ხმა 98-99 პროცენტით დგინდება. თუ ჩანაწერში ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის ხმა დაგვაეჭვებს, თავად მის ინტერესშია, რომ მივიდეს, ხმა ჩაწეროს და უდანაშაულობა დაამტკიცოს. როგორც კი ჩაგვივარდება ხელში კასეტა, შევეცდებით, შესაბამისი ტექსტი მასმედიაში გამოვაქვეყნოთ, რათა ხალხმა ოპერატიულად შეიტყოს ყველაფერი.

**— სახალხო სასამართლო უკვე ინტენსიურად მუშაობს. რა სიახლეებია თქვენს საქმიანობაში?**

— მრავალი სიახლეა. ჩვენ ვმუშაობთ და საქმეებს ვიღებთ. შემოსულია რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე: მიწისა და ტერიტორიების უკანონო წართმევაზე, ანუ ქონების ჩამორთმევაზე, საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაზე შემოსულია რამდენიმე უცნობი ფაქტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, თუ როგორ შეუზღუდეს დამოუკიდებლობა...

არის, ასე ვთქვათ, ომის საქმე. უამრავი ზარი შემოდის და გვატყობინებს, რომ არსებობს კადრები, თუ როგორ წვავენ ჩვენივე ჯარისკაცებს გვამებს, რათა შემდეგ ისინი უგზოუკვლოდ დაკარგულებად გამოაცხადონ. ეს თუ მართალია, ნამდვილად საშინელებაა.

ასე რომ, ჩვენ სერიოზულად ვემზადებით სასამართლოსთვის ბატონი მინდია უგრეხელიძის ხელმძღვანელობით. დაახლოებით ერთ თვეში უკვე დავიწყებთ საქმეების განხილვას.

სიახლეა ისიც, რომ სახალხო სასამართლოსთან შეიქმნა საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია თითქმის ყველა სერიოზული პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლისგან. მალე ღია წერილით მივმართავთ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს. თუ ნაციონალური მოძრაობა, როგორც თვითონ ამბობენ, დემოკრატიულია, მათ ხელს უნდა აძლევდეთ ყველანაირი დემოკრატიული პროცესი ქვეყანაში. ეს პროექტი, სწორედაც რომ, ძალიან დემოკრატიულია და მისი ამოქმედებისთანავე, დარწმუნებული ვარ, დემოკრატიულობით პირველ ადგილზე გაიყვანს საქართველოს. სახალხო სასამართლოთი მთელი მსოფლიოა დაინტერესებული, უამრავი ზარი შემოდის, ჩვენი საქმიანობა გაშუქდება CNN-ზე სხვა ქვეყნის ტელევიზიებით. მივესალმებით „მაესტროს“ ინიციატივას, სრულად გადასცეს სასამართლო პროცესები.

სამომავლოდ, ბატონ პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს, ანუ მათ, ვინც ხელისუფლების სახეები არიან და პროცესში მეორე მხარეს წარმოადგენენ, ღია წერილით მივმართავთ. მათ, ბუნებრივია, თავი უნდა დაიცვან. თუ რომელიმე იურიდიული ორგანიზაცია ამ ხელისუფლების დაცვის სურვილს გამოთქვამს, მას ამის საშუალება ექნება.

ასე რომ, ხალხი, საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდება სახალხო სასამართლოს დაწყებას. ძალზე აქტიური მუშაობა გველის წინ. იმედი გვაქვს, მრავალი სკანდალური და საინტერესო საქმე გაიხსნება.



ესაუბრა
**ნატა ნიბლაძე**

**კონფლიქტის ზონა**

# რუსებისა და აფხაზების სატრანსპორტო ოინები

***ამ ბოლო ხანს ძალიან გახშირდა ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციულ საზღვართან და გალის რაიონის ტერიტორიაზე ავტობუსებისა და მგზავრების გაჩხრეკა-დაჯარიმების შემთხვევები, რომლებსაც ერთობლივად ახორციელებენ აფხაზები და რუსები. რაც არ უნდა ვამტკიცოთ, რომ აფხაზები და რუსები ანტაგონისტურად არიან ერთმანეთთან განწყობილნი, იქ სადაც ფული კეთდება, ერთობლივად, შეთანხმებულად მოქმედებენ. ამდენი ავტობუსისა და მგზავრის დაკავებაც სწორედ ფულის შოვნას უკავშირდება.***

ყოველდღიურად ზუგდიდიდან – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტის სამსახურსდაქვემდებარებული ავტოსადგურიდან, გალის რაიონის მიმართულებით – 12-15 სოფელში გადიან ავტობუსები და მიკროავტობუსები. მათი უმრავლესობა მოძრაობს რუსებისა და აფხაზების მიერ კონტროლირებადი გზით და მძღოლი იხდის ე.წ. საზღვრის გადაკვეთისთვის დაწესებულ თანხას 30-50 ლარის ფარგლებში, ხოლო მგზავრები იხდიან ტვირთის გადასახადს 2-5 ლარამდე. მაგრამ ამ გზით შემოსული თანხა რუსებსა და აფხაზებს აღარ აკმაყოფილებთ, ამიტომაც მოიგონეს ახალი ოინები. ისინი ბრალს სდებენ მძღოლსა და მგზავრებს საზღვრის არაკანონიერად გადაკვეთაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ გალის აფხაზური ადმინისტრაციის მიერ გაცემული სპეციალური საშვი, დამატებით მოითხოვენ სოხუმის მიერ გაცემული დოკუმენტის ქონასაც! არადა, სოხუმი ასეთ დოკუმენტს არ იძლევა. დაკავებული მგზავრები მიჰყავთ გალის მილიციაში და მძღოლს 10000-15000 რუბლით, ხოლო მგზავრებს 300-500 რუბლით აჯარიმებენ. ასეთი მეთოდით ისინი საკმაოდ სოლიდურ თანხას აგროვებენ.

სანამდე გაგრძელდება ეს პროცესი, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუმცა, რუსებს განუცხადებიათ ეს ასე დიდხანს არ გაგრძელდებაო! ანუ რუსებს სურთ მდინარე ენგურზე გააკეთონ ხუთი ოფიციალური გადასასვლელი და დააწესონ ასევე ოფიციალური გადასახადი, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ისე ტრანსპორტით გადამსვლელთათვის.

აგვისტოს მოვლენებამდე მდინარე ენგურის ცენტრალურ გადასასვლელზე მოძრაობდა ავტობუსი, რომელიც უფასოდ ემსახურებოდა მგზავრებს ამ ერთკილომეტრიანი მონაკვეთის გავლაში. მაშინ ეს გაეროს ეგიდით გაკეთდა. ახლა გაეროს დამკვირვებლები საზღვართან არ დგანან, ამიტომაც ხალხი ევროკავშირისგან ითხოვს ამ პრობლემის მოგვარებას.

რაც შეეხება პოლიტიკურ ვითარებას, გალის რაიონში აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატები გალელების გულის მოგებას ცდილობენ, მაგრამ ეს არც ისე ადვილია. ამ დღეებში სერგეი ბაღაფში სტუმრობდა გალის რაიონს, მაგრამ მას არ დახვედრიან ისეთი მოწიწებით, როგორც პრეზიდენტობის პირველი ვადით არჩევის წინ. გალელები იმედით შეჰყურებდნენ ბაღაფშს და მოელოდნენ მისგან სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებას, მაგრამ ბაღაფშს თავისი პრეზიდენტობის პერიოდში თითქმის არაფერი გაუკეთებია გალელებისთვის. ამიტომაც, ერთ-ერთმა ქალბატონმა გაბედა და პირში მიახალა ბაღაფშს სიმართლე მისი უმოქმედობის გამო. თუმცა, მეორე ვადითაც მის არჩევას წინ არაფერი უდგას და უიმედობისა და უმოქმედობის პერიოდი გალელებისთვის კიდევ გახანგრძლივდება...

**ლადო ქირია**
ზუგდიდი



ეს დაუშვებელია!

*ქართული ეკლესიის მიმართ ზოგიერთი საზოგადოებრივი დაჯგუფების კრიტიკული დამოკიდებულება ფართო განხილვის საგანი ხდება. გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაცია და პატრიარქის ავტორიტეტის შელახვა. განწყობები კიდევ უფრო გამძაფრდა მას მერე, რაც „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა გასულ კვირას, საქართველოს საპატრიარქოსა და პატრიარქს ღია მიმართვა გაუგზავნეს და კონკრეტულ თემებზე პასუხები მოითხოვეს. კერძოდ ისინი პასუხს ითხოვენ კითხვებზე: რა ურთიერთკავშირი არსებობდა საქართველოს საპატრიარქოსა და საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს შორის? იყვნენ თუ არა საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირთა და მაღალ იერარქთა შორის საბჭოთა სუკ-ის აგენტები? რატომ არ დაიცვა პატრიარქმა 1983 წელს ე.წ. „თვითმფრინავის საქმეზე“ დახვრეტილი მღვდელმონაზონი თეოდორე ჩიხლაძე? რატომ არ გაუპროტესტებია პატრიარქს „მხედრიონის“ თარეში? რა ურთიერთკავშირი არსებობს დღეს საქართველოს საპატრიარქოსა და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას შორის? რატომ ატარებს საეკლესიო პრესა ქსენოფობიურ, ანტისემიტურ, ანტისომხურ, ანტილიბერალურ, ანტიდასავლურ და პრორუსულ პროპაგანდას და სხვა.*



*საპატრიარქოს მიმართ დასმულ შეკითხვებს მძაფრი რეაქცია მოჰყვა ქართულ პოლიტიკურ წრეებსა და ექსპერტებში. შეფასებები, თითქმის ერთგვაროვანია. მოქალაქეთა ჯგუფის მიერ დასმულ შეკითხვებზე, საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსმა“ კომენტარი პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძეს სთხოვა.*

# ვინ უჭერს მხარს „ამბოხს ღმერთის წინააღმდეგ?“

## „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ პეტრიწის ძეგლთან აქციის გამართვა პროვოკაცია იყო

**— ბატონო ვაჟა, რას ფიქრობთ ქართული ეკლესიის მისამართით საზოგადოების მცირე ჯგუფის დასმულ შეკითხვებზე? ერთ-ერთ ინტერვიუში შენიშნეთ, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მონღოლებმაც კი არ ახლეს ხელიო. ამით რისი თქმა გსურდათ და რაიმე სადღეისო პარალელი იკვეთება?**

— ამით მინიშნებას არ ვაკეთებ და საქართველოს ახლანდელ „დამპყრობელს“, ანუ როგორც საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, შეერთებულ შტატებს ნამდვილად არ ვგულისხმობ. მით უმეტეს, მიმაჩნია, რომ დღეს რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი კი არ აქვს ოკუპირებული, არამედ 100. ის ფლობს და განაგებს ეკონომიკურ სივრცეს, ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ ემისრებისა თუ ცრუმაგიერი კომპანიების მეშვეობით, მანიპულირებს ხელისუფლებითა და ოპოზიციური ძალებით, სადაც სერიოზული დასაყრდენი აქვს. ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი კი მხოლოდ იქედან მომავალი საკუთარი ფინანსური ნაკადების გაკონტროლებას ცდილობს და, უნდა ითქვას, არცთუ წარმატებით. ამის მაგალითად „მილლენიუმ ჩელენჯის“ პროექტში ლაშა შანიძის მუშაობისას გამოვლენილი სერიოზული დარღვევებიც კმარა, მაგრამ ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს ამერიკელ მეგობრებს, რომ ბატონი ბჟეზინსკი არ არის სწორი, როცა ფიქრობს, რომ საქართველოში მართლმადიდებლობა წარმოადგენს ბარიერს პროგრესისთვის. პირიქით, იგი კავკასიის მასშტაბით სტაბილურობის სერიოზული ფაქტორია და მომავალში მისი როლი ამ მიმართებით, შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს.

ამ თვალთახედვით, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს პირადი ავტორიტეტი და მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის გავლენა პრობლემა კი არა, დიდი რეზერვია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლაშქრობა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, ნებსით თუ უნებლიედ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლის მიზანს ემსახურება. ბატონ თევზაძის, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის რექტორის ტერმინს თუ მოვიშველიებ, „განჯადოება“ ქართველთა რწმენისთვის საყრდენების გამოცლით შეუძლებელია. მიხეილ სააკაშვილი ხაზს უსვამს, რომ კონკორდატის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერი სრულად უნდა ამოქმედდეს და ჩვენი ეკლესიის განსაკუთრებული ისტორიული როლი, აგრეთვე დღევანდელი ფუნქცია სათანადოდ უნდა იქნას გააზრებული. ასეთია ხელისუფლების დეკლარირებული პოზიცია.

**— როგორ ფიქრობთ, როცა ხელისუფლება ქართული ეკლესიის მხარდამჭერია, ხოლო მასთან ასოცირებული „თავისუფლების ინსტიტუტი“ მკვეთრად სხვა პოზიციის მატარებელი, რასთან გვაქვს საქმე?**

— „თავისუფლების ინსტიტუტის“ ის ჯგუფი, რომელმაც იოანე პეტრიწის ძეგლთან, ხალხმრავალ ადგილას, პროვოკაციული აქცია მოაწყო, მართლმადიდებელი მრევლის რადიკალურ ნაწილზე იყო გათვლილი და ექსცესების გამოწვევას ისახავდა მიზნად. საბედნიეროდ, ამჯერად, პროვოკაციას შედეგი არ მოჰყვა, მაგრამ აქციის მთავარი ორგანიზატორები კარგად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები და ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის თანამშრომლები არიან. ასევე, მაღალი ხელფასებით. **ამ უნივერსიტეტში კი თავისუფალ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამაში ერთ-ერთი საკვანძო საგანია „ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ“.** ისიც ნიშანდობლივია, რომ მოდურ და კარგად დაფინანსებულ თავისუფალ უნივერსიტეტს რექტორის რანგში სათავეში ჩაუდგა გამორჩეული „მებრძოლი ულმერთო“ (ინტერნეტსივრცის მიხედვით) ბატონი



ბენდუქიძე. ასე რომ, ყველა კოზირი, დიდი ფულის ჩათვლით, მართლმადიდებლობის მგმობელთა ხელთაა და რატომ ჩქარობენ, რა აშინებთ? ხომ არ არის მათი მიზანი საზოგადოებაში ახალი დაპირისპირების გამოწვევა და სერიოზული სოციალური პრობლემების გადაფარვა?

**— თუკი ასეა, რატომ დუმს საზოგადოება, ექსპერტთა წრეები? ნუთუ ხალხმა ამის შესახებ არაფერი იცის?**

— ეს ყოველივე, ბუნებრივია, პარლამენტის განსჯის საგანი უნდა გამხდარიყო. ასე არ მოხდა, ზოგიერთი „ხალხის რჩეული“ მხოლოდ განცხადების გაკეთებით შემოიფარგლა. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენი დღევანდელი საკანონმდებლო ორგანო ადეკვატურად არ ასახავს ელექტორატის განწყობას.

აქ მინდა ხაზი გავუსვა, რომ, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის გამოხატვის თავისუფლებაზე, ან რწმენის თავისუფლებაზე და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებაზე – არ სწამდეს არც ერთი რელიგია, არ სწამდეს ღმერთი. ასეთი ადამიანებიც ჩვენი საზოგადოების აბსოლუტურად სრულფასოვანი და დასაფასებელი წევრები არიან. ბოლოსდაბოლოს, სამების ტაძრის მთავარი დამფინანსებელი – ბიძინა ივანიშვილი, როგორც მან ერთ-ერთ ჟურნალისტს განუცხადა, ათეისტია.

საუბარი სხვა რამეზეა – საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, პატივი მიაგოს ადამიანთა დიდი ჯგუფის რწმენას, იმ რელიგიას, რომლის განსაკუთრებული როლი ქართველი ერისა და სახელმწიფოს ისტორიაში კონსტიტუციურადა დაკანონებული და კონკორდატით განმტკიცებული. რაც შეეხება, ტრადიციულ თუ ახალ რელიგიებს, თუნდაც „იეღოვას მოწმეებს“, მათ შეუძლიათ თავისუფლად იქადაგონ და გამოიყენონ თავიანთი უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობები, რასაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მოკლებულია.

ერთსაც შევნიშნავ, კი ბატონო, იქადაგონ და გამრავლდეს იეღოველთა თემი, მაგრამ ამ პატივცემულ იეღოველებს საქართველოს და ჩვენი ეკლესიის მიმართ რომ აქვთ პრეტენზიები, რატომ ვერ შლიან ფრთებს აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქეთში, საბერძნეთში, იტალიაში და ასე შემდეგ?

**— ბატონო ვაჟა, მაგრამ ნებისმიერ კითხვა, რომელიც დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებას აწუხებს, უნდა დაისვას და უნდა გაეცეს პასუხი კიდეც...**

— რაც შეეხება მოქალაქეთა ჯგუფის მიერ დასმულ კითხვებს, ყველა მათგანს პასუხი უნდა გაეცეს, რადგან ისინი დაისვა. კითხვების დამსმელებს ისევე აქვთ ამის უფლება, როგორც უწმინდესსა და უნეტარესს, ილია II-ს და ქართულ ეკლესიას, რომ არ გასცენ პასუხი ამ კითხვებს.

მე მიმაჩნია, რომ თუ „საეკლესიო პრესა“ ქსენოფობიურ, ანტისემიტურ და ანტისომხურ პროპაგანდას ეწევა, ეს ყოველივე დასჯადია კანონით და ამ ჯგუფმა მიმართოს სასამართლოს. თუ ამას ისინი პროპაგანდად მიიჩნევენ, თავად აწარმოონ კონტრპროპაგანდა. მათთვის ხომ უამრავი ტელეარხი და გაზეთია მისაწვდომი, ოღონდ აწარმოონ საგნობრივი და არგუმენტირებული კამპანია. მათ ხომ ძალიან კარგად აფინანსებენ და საამისოდ დროც ბევრი აქვთ?!

მთელ ამ ბაქანალიაში, ჩემთვის, როგორც ერთი მოქალაქისთვის, სხვა რამ არის საგულისხმო.

პრობლემები მართლმადიდებლობასაც აქვს. შესაძლოა, სერიოზულიც. მათ გადასაწყვეტად ეკლესიამაც უნდა იზრუნოს და საზოგადოებამაც, მაგრამ შემაშფოთებელია ეკლესიის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორების მისწრაფება – მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის პოლარიზება. დასახულ მიზანს, სამწუხაროდ, აღწევენ კიდეც. „მებრძოლ ულმერთოებს“ ან „ცივილიზებული მართლმადიდებლობისთვის მებრძოლებს“ უეჭველად დაუპირისპირდებიან ახალი მკალავიშვილები ან ახალი რეაქციონერი კლერიკალები, რაც ქვეყნის მტრებს საშუალებას მისცემს საქართველოს დეზინტეგრაციის წამახალისებელ ფაქტორად გამოიყენონ ეს პროცესი და მიანიშნონ ქართული მართლმადიდებლობის უკიდურეს დოგმატურობაზე, „ორთოდოქსულობასა“ და უპერსპექტივობაზე.

დიახაც, ეკლესია და სახელმწიფო უნდა იყოს მკვეთრად გამიჯნული. თუმცა, ეს არ აძლევს უფლებას ეკლესიას, თუ ის ხედავს, რომ ქვეყანა არასწორი გზით მიდის ან კატასტროფისკენ მიექანება, მშვიდად ადევნოს თვალი მოვლენებს.

**— რას გულისხმობთ?**

— ბევრი საწინააღმდეგო ფაქტის მოხმობა შეიძლება ისტორიიდან. ამბროსი ხელაიას თუ სხვა წმინდანთა გმირობისა და ღვაწლის. თუმცა, ვგონებ, საჭირო არ არის. არც იმის გახსენება, თუ როგორ აისხა აბჯარი თორნიკე ერისთავმა, ქვეყანას რომ დასჭირდა. არც უმაღლეს ხელისუფლად პატრიარქის გამოცხადებაშია გამოსავალი, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, საქართველოს მოქალაქეებმა, უნდა დავამტკიცოთ, რომ შეგვიძლია დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრება და პრობლემების ცივილიზებულად განსჯა. იმის შიშით, შეიძლება ხელისუფლებაში პრორუსი მოვიდესო, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაზე უარს გვეუბნებიან. იმის შიშით, ეკლესიის ავტორიტეტმა საერო ხელისუფლების ავტორიტეტი ძალიან არ დაჩრდილოს და ხელისუფლების შეცვლის ფაქტორად არ იქცესო, ეკლესიის წინააღმდეგ ლაშქრობას იწყებენ. ეს დაუშვებელია.

ბრიფინგი

# ხელისუფლებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვენ

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩახვაძემ პარტიის ოფისში ბრიფინგი გამართა და ყურადღება გაამახვილა რუსეთის პროვოკაციულ ქმედებებზე აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, ბოლო დროს ამ რეგიონებში შექმნილ ვითარებაზე.**

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, – თქვა მან, – ხელისუფლებისგან მოითხოვს, რომ მან შექმნილ ვითარებაზე დაუყოვნებლივ აცნობოს გაეროს უშიშროების საბჭოს და მოითხოვოს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა რუსეთის პროვოკაციული ქმედებების აღსაკვეთად.

„დღითი დღე იზრდება რუსეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე, აქედან გამომდინარე, მატულობს პროვოკაციების რიცხვიც. რუსეთი არღვევს დემოკრატიულობის ყველა ნორმას, საფრთხეს უქმნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სტაბილურობას მთელს კავკასიის რეგიონში.




ხელისუფლებისგან მოვითხოვთ ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი დიპლომატიური შეტევის განხორციელებას რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენმა მთავრობამ უნდა მიაღწიოს ოკუპანტთა მიერ მიტაცებული საქართველოს რეგიონებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსის მინიჭებას და დამპყრობელი ქვეყნის მიმართ საერთაშორისო სანქციების გატარებას“, – განაცხადა გურამ ჩახვაძემ.

**თინათინ ბორცვაძე**

SOS!

**ბაზრები ისევ დაცარიელდა, ქუჩები და მეტროს მიმდებარე ტერიტორიები ნაგვით აივსო!**





# გარევაჭრობამ ისევ შემოგვიტია

**ზედმეტი გულისწყრომის და იქედნური ქირქილის არაფერი გვწამს, მაგრამ... ამჯერად ხელისუფლების სამართლიან კრიტიკას მაინც ვერ ავცდებით.**

**ყველას გვახსოვს, რომ ვარდების რევოლუციის სასარგებლო მონაპოვართა შორის ერთ-ერთი მთავარი თითქოს თბილისში (ქუთაისშიც! ბათუმშიც!) გარევაჭრობის მოწესრიგება იყო.**

ეს რა დიდი მონაპოვარიაო, – იტყვის ზოგიერთი, მაგრამ თუ გავიხსენებთ დედაქალაქის ჩახერგილ ქუჩებს, ასფალტზე – მტვერსა და ტალახში დაყრილ პროდუქტს, ცენტრალური ბაზრების მიმდებარე ქუჩებსა და ტროტუარებზე ტრანსპორტის „საცობით“ გამოწვეულ გნიასს, ლოთებისა და ჯიბის ქურდების დაუმთავრებელ ჩხუბსა და აყალმაყალს, – ამ პროვინციული სენისგან განკურნება საშვილიშვილო საქმედაც უნდა ჩაგვეთვალა, მაგრამ, ხელისუფლების ეს „მონაპოვარი“ თვალსა და ხელს შუა გაქრა: ბოლო ერთი წელიწადია ალებ-მიცემობის, ანუ იყიდე-გაყიდეს ეს მახინჯი ფორმა ისევ დამკვიდრდა საქართველოს მსხვილ ქალაქებში, თბილისში კი მთლად „აიშვეს“ გარე მოვაჭრეებმა, ბაზრებში განლაგებულ საკმაოდ სუფთა დახლებს, დირექციის ყოველგვარ მოთხოვნას წიხლი ჰკრეს და „უპატრონო“ ქუჩებს მიაშურეს. არადა, ქუჩები კარგა ხანია სავსეა მაღალხელფასიანი საპატრულო და დაცვის პოლიციის თანამშრომლებით. თუ 4-5 წლის წინათ ეს ზრდილობიანი პოლიციელები, რა თქმა უნდა, **ზემოდან საგანგებო, პრინციპული, სამართლიანი მითითებით,** ადვილად აწესრიგებდნენ დედაქალაქში ვაჭრობის დაცვის ელემენტარულ წესებს, ახლა თითქოს პირში წყალი ჩაიგუბესო, საგანგებოდ თვალს არიდებენ ყველას, რა თქმა უნდა, ისევ **ზემოდან საგანგებო, უპრინციპო, უკანონო მითითებით,** ამ განუკითხაობას, საბაზრო ბაქანალიას და:

**თბილისის და მთელი ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი წყარო ისევ ჩაეშვა ჩრდილოვანი ეკონომიკის ჭაობში;**

**დამახინჯდა ისედაც ლამაზისეულად ქცეული, სახელდახელოდ გადაღებილი ქალაქის იერ-სახე;**

**ისევ ჩადგა გარემოვაჭრეთა მთელი არმია (და ეს მთავარზე უმთავრესია!) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაღალ დონეზე გამართვის „ავანგარდში“. დღეს ამომრჩეველთა ნებისმიერი ფორმით მოსყიდვას, როგორც წინა არჩევნებმა დაგვარწმუნეს, უდიდესი „სახელმწიფოებრივი“ მნიშვნელობა აქვს.**

არავის ეგონოს ამას მარტოოდენ მმართველი პარტიის ლიდერთა დასამუნათებლად ვამბობდეთ. არანაკლებ „მოხერხებულნი“ არიან ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. ისინი მხარში უდგანან გარემოვაჭრეებს და საქვეყნოდ გაჰყვირიან: **თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებთ, ხელისუფლებას იმის უფლებას არ მივცემთ, რომ ლუკმაპურის შოვნის საშუალება მოგისპონ!**



არადა, ეს ლერწამივით მოქანავე გარემოვაჭრეები ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც თავის სასარგებლოდ იყენებენ და ხშირად სასურველ შედეგსაც აღწევენ. ბოლო წლების ფსიქოლოგიური ანალიზი ამას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს: **მოწესრიგდა გარევაჭრობა, – ქალაქმა ამოისუნთქა! საკუთარ ნებაზე მიუშვეს ათასობით ადამიანი, – ქალაქი (ქალაქები!) ისევ ბაზრად და დუქნად იქცა!**

ჩვენი გაზეთი არა ნიშნის მოგების, ინტრიგის, გნებავთ, სენსაციის „აგორების“ მიზნით, არამედ მხოლოდ ჯანსაღი, ჭეშმარიტი გულშემატკივრის პოზიციის წარმოსაჩენად წერდა და კვლავაც დაწერს გარევაჭრობის ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგების აუცილებლობაზე და ამის საილუსტრაციოდ დღეს მოჰყავს დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებულ-დაზიანებული (ქუჩაში ქაოსური ვაჭრობით გულშეღონებულიძ უბნის – **ნავთლუღის ტერიტორიაზე განლაგებული ბაზრების მიმდებარედ მცხოვრებ მოქალაქეთა – გ.ცერცვაძის, შ.რობაქიძის, გ.სიდიანის, ა.უგრეხელიძის, ჯ.მარუკიანის, გ.გრიგორიანის, ლოლაძეების, აბუაშვილების, ხოფერიების, მერაბიშვილების, დურგლიშვილების, ნაზარიანების, მახარაძეების და სხვათა – სულ 100-ზე მეტი თბილისელის განცხადების მოკლე შინაარსი, რომლითაც მათ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა მინისტრს, ქ.თბილისის მერს, ისან-სამგორის რაიონის გამგებელს, რესპუბლიკის და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსებს მიმართეს:**

> ***„მოგახსენებთ, რომ ნავთლუღის ბაზრების ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მეველეს ქუჩაზე, ბოლო 8-10 თვეა „დაშვებულია“ გარევაჭრობა. სწორედ ამის გამო, გაუსაძლის პირობებში გვიხდება ცხოვრება. ირგვლივ გამეფებულია ანტისანიტარია, ყველგან ყრია ნაგავი, დგას აუტანელი სუნი, გაუთავებელი ჩხუბისა და აყალმაყალის გამო ღამით ვერ ვიძინებთ, გაუარესდა კრიმინოგენური სიტუაცია, ბავშვები ქუჩაში ვერ გაგვიშვია, რადგანაც იქ მუდამ „საცობია“ და მძღოლები ერთმანეთს აგინებენ, ხშირად სასწრაფო დახმარების მანქანაც ვერ აღწევს ავადმყოფამდე!..***
>
> ***უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ზომები და მოვაჭრეები ქუჩიდან ისევ დააბრუნოთ ბაზრებში, როგორც ეს ბოლო წლებში იყო მოწესრიგებული.***
>
> ***წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მივმართოთ ქუჩის აქციებს და გამოვიყენოთ პროტესტის სხვადასხვა ფორმები!“***

* * *

რა ნაცნობი „ძველი“ სურათია, ძვირფასო მკითხველო! **მსგავსი განცხადებებით, ისევ მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნით, დედაქალაქის მერს და ისან-სამგორის რაიონის გამგებელს მიმართეს შპს „ნავთლუღის“ დირექტორმა შ.ოთიურიძემ,** შპს „მამული+“-ის დირექტორმა **გ.ყიფშიძემ,** „ისანი-2001“-ის დირექტორმა **ა.ზარძუამ,** შპს „მწვანე ბაზრის“ დირექტორმა **რ.ჯაფარიძემ.**

ყველა ეს ობიექტი, ბუნებრივია, გაკოტრების პირზეა და სახელმწიფო გადასახადებს ან დაგვიანებით იხდის ან... მალე საერთოდაც ვერ გადაიხდის! მაგალითად, უშუალოდ შპს „ნავთლუღს“ ხუთიოდე თვის წინათ მოსაკრებელი დაგროვილი ჰქონდა 13800 ლარის ოდენობით. ეს მაშინ, როცა ბაზრობიდან ყოველთვიურად გადის სულ ცოტა 7-8 რეისი ნარჩენი, ბაზარი კი მხოლოდ 30-35 პროცენტით არის დატვირთული. თუ ასე გაგრძელდა, ძველისძველი ობიექტი, სხვა ბაზრებიც დაიხურება და უმუშევარი დარჩება მინიმუმ 150-200 ადამიანი!

**უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს ძალიან ცუდია!**

ჩვენ გავესაუბრეთ უშუალოდ ქუჩაში მოვაჭრეებსაც. მათი აბსოლუტური უმრავლესობა თანახმაა ბაზარში შევიდეს, მაგრამ... მაინც არ შედის, რადგან ამას ძველებურად (აი ისე, ვარდების რევოლუციის შემდეგ რომ იყოძ არავინ სთხოვს!

აშკარაა, რომ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მხრიდან ყურადღების მოდუნება ერთი წუთითაც არ შეიძლება! არადა, სავალალო ფაქტი სახეზეა.

**ამ პრობლემით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, უშუალოდ დედაქალაქის მერი და საპატრულო პოლიცია.**

**სპარტაკ ქობულია,**

მამია ალაშვილის ფოტო



ბაზრები ცარიელია, ქუჩები – ჩახერგილი!



სირცხვილია!

**გარევაჭრობის მოწესრიგება და მისთვის ცივილიზებული ფორმის მიცემა ისევე აუცილებელია, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ მოხდა.**

**სირცხვილია, ხელისუფალნო!**



**დიდად პატივცემულო ბატონო სიმონ,**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია გულითადად და მხურვალედ გილოცავთ დაბადების 90 წლისთავს და სამედიცინო, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წლისთავს.

თქვენ საქართველოს სამედიცინო და ფიზიოლოგიური საზოგადოებების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, ღრმად განსწავლული პიროვნება, ერუდიტი, ენციკლოპედისტი ბრძანდებით. თქვენი ტიტულების და დამსახურებების ნუსხა ჩვეულებრივი მილოცვის ფარგლებს მნიშვნელოვნად სცილდება.

# დიდი სახელი დიდმა

საექიმო და სამეცნიერო მოღვაწეობა ოტორინოლარინგოლოგიის და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიის სფეროში თქვენ სრულიად ახალგაზრდამ დაიწყეთ. ნიჭთან და პიროვნულ ღირსებებთან შეჯერებული თავდაუზოგავი შრომით სამეცნიერო და კლინიკურ ოტორინოლარინგოლოგიაში თქვენ მთელი ეპოქა შექმენით. როგორც აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სკოლის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა წარმომადგენელმა, მოწვეული პოტენციალებისადმი მიძღვნილმა თქვენმა მონოგრაფიამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრესტიჟული პრემია მოიპოვა.

თქვენ მიერ დაარსებულმა და თქვენი დიდი ძალისხმევით საუცხოოდ აღჭურვილმა ევროპული დონის ლაბორატორიამ, რომელიც ამჟამად აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ცენტრად იწოდება, ადამიანის სმენის სისტე-

## დღესაც შემართებით...

თქვენ პირველმა დაამკვიდრეთ ოტორინოლარინგოლოგიაში ფიზიოლოგიური მიდგომები, პირველმა დანერგეთ დარგში ბერიტაშვილისეული მეთოდოლოგია და თეორიული კონცეფციები.

აღსანიშნავია ადამიანის სმენის რეცეპტორული და ნევრალური წარმოშობის პოტენციალებზე ორიენტირებული თქვენი უზადო გამოკვლევები. სმენის პოტენციალების კომპიუტერულ რეგისტრაციაზე დაფუძნებული დიაგნოსტიკის მეთოდები აუდიოლოგიურ პრაქტიკაში მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთმა პირველებმა სწორედ თქვენ და თქვენმა მოწაფეებმა დანერგეთ.

თქვენი მონოგრაფიები და სამეცნიერო ნაშრომები მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მიერ არის აღიარებული. ადამიანის სმენის გამის თეორიული და კლინიკური ხასიათის კვლევა სპეციალიზებული კომპიუტერების გამოყენებით მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო. მრავალწლიანი თავდაუზოგავი შრომის შედეგად სმენის ფუნქციონირების მრავალ ნატიფ მექანიზმს აეხადა ფარდა, ობიექტური აუდიომეტრიის არაერთი ფუნდამენტური პრინციპი გაირკვა.

მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის და გერმანელ კოლეგებთან ხანგრძლივი და პროდუქტიული ურთიერთობების გათვალისწინებით, სასმენი აპარატების ცნობილმა გერმანულმა ფირმამ Kind-Horgerate-მ პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმომადგენლობა სწორედ თქვენს კლინიკაში გახსნა პირველად, ამასთან საქართველოში აპარატებზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა. Kind-Horgerate-ს თბილისურმა ფილიალმა, თავის მხრივ, ქვეფილიალები შემდგომში ერევანში, ბაქოში, კიევში დააარსა. მეცნიერული და კლინიკური აუდიოლოგიის, კერძოდ კი სასმენი აპარატებით სმენის რეაბილიტაციის ინსტიტუტის დაარსება საქართველოში უშუალოდ თქვენს სახელს უკავშირდება.

თქვენ დღესაც დიდ შემართებას და მაღალ აქტივობას ინარჩუნებთ. მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და თანამშრომლებს თქვენ დღესაც დაუღალავად უზიარებთ ცოდნას და გამოცდილებას, დღესაც ეხმარებით კვალიფიკაციის ამაღლებაში, პროფესიულ თუ ცხოვრებისეულ პრობლემებზე ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ჩამოთვლილი თქვენი, როგორც ექიმის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის და მოქალაქის საქმიანობის მხოლოდ მოკლე და არასრული ნუსხაა. მსოფლიოს სამედიცინო და სამეცნიერო წრეებში თქვენი პროფესიონალიზმი კარგად არის ცნობილი და სათანადოდ არის შეფასებული.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ძვირფასო ბატონო სიმონ, ღირსშესანიშნავ თარიღს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ სურვილს, ჩვეული მხნეობა და შემართება მომავალშიც დიდხანს შეგენარჩუნებინოთ, რათა კვლავ თავდაუზოგავად გემსახუროთ ქართული მედიცინის და მეცნიერების შემდგომი წინსვლისათვის.

**თამაზ გამყრელიძე**,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

# ის მუდამ საუცხოო ფორმაშია

### პოლიპროფესიონალი, პოლიერუდიტი, პოლიგლოტი

სიმონ ხეჩინაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, გერმანიის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უძველესი აკადემიის *ლეოპოლდინოს*, ამჟამად – გერმანიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ოტორინოლარინგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. წლების განმავლობაში იყო თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის რექტორი. იყო საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. იყო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. შედეგად, მისი უშუალო მეცადინეობით, ხელმძღვანელობით და საპროექტო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობით თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ტერიტორიაზე ოტორინოლარინგოლოგოგიის კლინიკის ბრწყინვალე შენობა აიგო. შენობა იმთავითვე ხეჩინაშვილის კლინიკის სახელით იწოდებოდა. ამჟამად ხეჩინაშვილის სახელი კლინიკას სრულიად სამართლიანად ოფიციალურად აქვს მინიჭებული.

ბატონ სიმონთან საოპერაციოდ რეგულარულად ჩამოდიოდნენ სხვა ქვეყნებიდან – სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, შუა აზიის რესპუბლიკებიდან, თავად რუსეთიდანაც კი. ზეინტენსიურ კლინიკურ შრომას ბატონი სიმონი ასევე ინტენსიურსავე მეცნიერულ მოღვაწეობას უთავსებდა. ბატონი სიმონი ყოველთვის ანსახიერებდა და ამჟამადაც ანსახიერებს მედიცინისა და ფიზიოლოგიის, კერძოდ, გამოყენებითი ფიზიოლოგიის (applied physiology), გადაფარვას (overlapping).

ბატონი სიმონი და მისი თანამშრომლები მრავალგზის და მეტწილად ხანგრძლივად სტუმრობდნენ საზღვარგარეთის აუდიოლოგიურ/ოტორინოლარინგოლოგიურ ცენტრებს, აწარმოებდნენ ერთობლივ კვლევებს, მონაწილეობდნენ სიმპოზიუმების, კონგრესების, ყრილობების მუშაობაში.

საზღვარგარეთთან მჭიდრო კავშირები ამჟამადაც გრძელდება: ეწყობა ერთობლივი სიმპოზიუმები, პოსტდიპლომური სწავლების, ოპერაციების კურსები. მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის და გერმანელ კოლეგებთან ურთიერთობების გამო, სასმენი აპარატების ცნობილმა გერმანულმა ფირმამ Kind-Horgerate-მ ფილიალი სწორედ ბატონი სიმონის კლინიკაში გახსნა, ამასთან საქართველოში, გერმანიასთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით, აპარატებზე 3-4-ჯერ დაბალი ფასები დააწესა.

ბატონი სიმონი პოლიგლოტია. ქართულის პარალელურად, ბრწყინვალედ ფლობს რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. ყველა ჩამოთვლილ ენაზე ლაპარაკობს თავისუფლად, წერს მშვენივრად. მისი უშუალო მონაწილეობით თუ ხელმძღვანელობით ინგლისურ ენაზე 150-მდე ნაშრომი არის შესრულებული. მათ შორის ბევრია დასტამბული ფრიად ავტორიტეტულ ჟურნალებში.

საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში დასტამბული შრომებისათვის ბატონი სიმონის გუნდის წევრებს სოროსის პრემიაც კი აქვთ მოპოვებული. ინგლისურ ენაზე დასტამბული 150 ნაშრომი მართლაც სატრაბახოა: მსგავსი მაჩვენებელი საქართველოში დიდ დაწესებულებებსაც კი იშვიათად აქვთ, არათუ 10-15-კაციან, ანუ მცირერიცხოვან კოლექტივს. მეცნიერება თავისი არსით საყოველთაო, ანუ კოსმოპოლიტურია, კოსმოპოლიტური ენა კი, განსაკუთრებით მეცნიერებაში, სწორედ რომ ინგლისურია.

ბატონი სიმონი გამოკვეთილი ერუდიტია: მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესო და სასარგებლოა, ამასთან არა მარტო სპეციალობის სფეროში, არამედ გლობალურ პრობლემებზეც: მხატვრულ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, პოლიტიკაზე... პირადად მე, თუ რაიმე საკითხის გარკვევა მჭირდება, უპირატესობას ყოველთვის ბატონ სიმონთან კონსულტაციებს ვანიჭებ. ბ-ნ სიმონთან ათეული წლები მაკავშირებს. ის მუდამ საუცხოო ფორმაშია. მე არ მახსოვს, არაოფიციალურ სიტუაციებშიც კი, მას ორ-სამ ჭიქა ღვინოზე მეტი დაელიოს. მე არ მახსოვს მის ხელში სიგარეტი.

ბატონი სიმონი, პრინციპში, გენიოსია. სიტყვა *გენიოსი* მე არ მიყვარს – მეჩვენება, რომ ის ამბიციური და, შესაბამისად, პროვინციულია. ეს სიტყვა ბატონ სიმონსაც არ უყვარს, ვიცი, მაგრამ სიტყვის არსი კონკრეტიკას ამჯერად კარგად მიესადაგება. ვუსურვოთ ბატონ სიმონს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე. ვისურვოთ, ბატონი სიმონის გენიოსობა კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყოს: მის კოლექტივს ეს ძალზე სჭირდება.

**ზურაბ ქევანიშვილი**,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

# რამდენიმე მიმართულების ფუძემდებელი

### ოტორინოლარინგოლოგი, აუდიოლოგი, ვესტიბულოლოგი, ნეიროფიზიოლოგი

ბატონ სიმონთან ერთად ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით ნეიროფიზიოლოგიის სფეროში წლების განმავლობაში აქტიურ სამეცნიერო კვლევას ვატარებდით. მაშინ უკვე ბატონი სიმონი მაღალი მეცნიერული პოტენციალით გამოირჩეოდა. იგი საქართველოს ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც თანამედროვე ოტორინოლარინგოლოგიისა და აუდიოლოგიის ფუძემდებელი ქვეყანაში, არამედ როგორც დარგში ნეიროფიზიოლოგიური მიდგომების განმხორციელებელი, ივ.ბერიტაშვილის სკოლის ღირსეული წარმომადგენელი და მისი გამორჩეული მოწაფე.



მეუღლესთან ერთად

ბატონი სიმონი რამდენიმე ფიზიოლოგიურ-სამედიცინო მიმართულების ფუძემდებელია არა მარტო საქართველოში, არამედ გლობალური მასშტაბითაც. მის სახელს უკავშირდება კომპიუტერული აუდიომეტრია, ანუ ადამიანის სმენის გამოკვლევა რეცეპტორული და ცერებრული სმენის გამოწვეული პოტენციალების საშუალებით. მის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე კომპიუტერული ვესტიბულომეტრია, ანუ წონასწორობის ორგანოს ფუნქციის ნატიფი გამოკვლევა სპეციალიზირებული კომპიუტერების გამოყენებით. ბატონი სიმონის სახელს უშუალოდ უკავშირდება სასმენი აპარატების დანერგვა საქართველოში. ძალიან საამაყოა, რომ სასმენი აპარატების თბილისის წარმომადგენლობა ამჟამად შესაბამის ფილიალებს ფლობს სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და სხვ. ქვეყნებში. ბატონი სიმონის წყალობით სასმენი აპარატების მთელ მსოფლიოში ცნობილმა ფირმა „კინდმა" საქართველოში აპარატებზე მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასები დააწესა, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ბატონი სიმონი რამდენიმე მონოგრაფიის ავტორია. ერთ-ერთ ბოლო მონოგრაფიაში ადამიანის სმენის გამოწვეული პოტენციალების ფიზიოლოგიაა დახასიათებული. დეტალიზებულია შიგნითა ყურის პოტენციალები, ტვინის ღეროს პასუხები, ნელი ქერქული პოტენციალები. აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ მონოგრაფია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სწორედ რომ ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა.

ბატონ სიმონის აუდიოლოგიურმა სკოლამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პირველმა დაიწყო საქართველოში სკრინინგული ტიპის სმენის მასობრივი გამოკვლევები ბავშვებში, უპირატესად ახალშობილებში. სმენის მსგავსი გამოკვლევები მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში სავალდებულო ხასიათს ატარებს. ბატონ სიმონის აუდიოლოგიურმა სკოლამ სმენის სკრინინგი უკვე 200.000-ზე მეტ ბავშვს ჩაუტარა. გამოკვლევები ძვირადღირებული აპარატებით ტარდება, რომლებიც გერმანელმა და ჰოლანდიელმა კოლეგებმა ქართველ აუდიოლოგებს მაღალი საერთაშორისო რეპუტაციის გათვალისწინებით საჩუქრად გადმოსცეს.

ვუსურვებთ ბატონ სიმონს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა თავის მოწაფეებთან ერთად კიდევ დიდხანს იმოღვაწეოს ფიზიოლოგიისა და მედიცინის სფეროში.

**თენგიზ ონიანი**,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი

# საქმეემ იცის...

## მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ...

დღეს ჩვენ აღვნიშნავთ შესანიშნავი ექიმის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ სიმონ ხეჩინაშვილის იუბილეს. ბატონი სიმონი განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანი გახლავთ. მან თავისი ნიჭი და შესაძლებლობები მოსახლეობის ჯანმრთელობას, თავისი ქვეყნის ყველა მიმართულებით წარმოჩენას მოახმარა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიმონ ხეჩინაშვილი ყოველთვის იყო და ახლაც არის დასავლეთზე ორიენტირებული პიროვნება. მრავალი უცხო ენის შესანიშნავმა ცოდნამ, საზღვარგარეთის ოტოლარინგოლოგიურ სკოლებთან მისმა ახლო კონტაქტებმა საქართველოში ოტორინოლარინგოლოგიის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა.

ბატონი სიმონი ყველგან, ეროვნულ, საკავშირო, თუ საზღვარგარეთ გამართულ სიმპოზიუმებზე ყოველთვის ლიდერთა შორის გახლდათ. მეტიც, ის ყოველთვის გამორჩეული ლიდერი იყო, რისი მომსწრეც, სიამოვნებით მინდა ავღნიშნო, ბევრი ჩვენგანი არის.

სიმონ ხეჩინაშვილი ყურის რეკონსტრუქციული მიკროქირურგიის ფუძემდებელია არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. მან ერთ-ერთმა პირველმა გააკეთა ოტოსკლეროზის ოპერაცია და ათასობით სმენადაქვეითებულს დაუბრუნა სმენა. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ენდოლარინგოლოგიური მიკროქირურგიის და ლაზეროქირურგიის დანერგვა. სიმონ ხეჩინაშვილის პირადი დამსახურებაა ჭავჭავაძის გამზირის 33-ში ოტორინოლარინგოლოგიური კორპუსის აშენება, რომელშიც დღეს სამედიცინო უნივერსიტეტის მრავალპროფილიანი კლინიკა არის განთავსებული. ბატონმა სიმონმა, ბატონ ზურაბ ქევანიშვილთან ერთად, საქართველოში საერთაშორისო დონის აუდიოლოგიის სკოლა ჩამოაყალიბა, რომელმაც სმენადაქვეითებულებში და ყრუმუნჯებში კოხლეარული იმპლანტაციის ოპერაციების დაწყებას შეუწყო დიდად ხელი.

მე არ განვმეორდები და არ შევუდგები ბატონი სიმონის რეგალიების ჩამოთვლას. არ ვისაუბრებ მის შთამბეჭდავი რაოდენობის მონოგრაფიებზე და სამეცნიერო შრომებზე. როგორც მისმა ყოფილმა ასპირანტმა და მისმა მოსწავლემ, მე მინდა ხაზი გავუსვა ბატონი სიმონის დამოკიდებულებას ჩემი თაობის ოტოლარინგოლოგების მიმართ. ბატონი სიმონი არის ჩვენთვის მაგალითი, თუ როგორ უნდა ჩამოაყალიბოს მასწავლებელმა პროფესიონალი ექიმი მოსწავლეში. პირადად ჩემს ცხოვრებაზე ბატონმა სიმონმა დიდი ზეგავლენა მოახდინა, რისთვისაც მე მას დიდ მადლობას ვუხდი.

ჩვენ, ბატონი სიმონის მიერ გაზრდილმა ექიმებმა, მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ – მოსმენის კულტურიდან დაწყებული, ქცევითა და პროფესიონალური ჩვევებით დამთავრებული.

ბატონო სიმონ, ჩემი თაობის ოტოლარინგოლოგების, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტის ყველა თანამშრომლის, სრულიად საქართველოს ოტოლარინგოლოგების და პირადად ჩემი და ჩემი ოჯახის სახელით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს და მადლობას გიხდით ქართული მედიცინის განვითარებაში თქვენი უდიდესი წვლილისათვის.

**შოთა ჯაფარიძე,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი



## თქვენ გაქვთ უფლება, რომ მოიხედოთ უკან...

ბატონო სიმონ,

მაქვს პატივი მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი. მართალია, წლების მომატება დიდად სასიამოვნო ვერ არის, მაგრამ რადგან გარდუვალია, უნდა აღინიშნოს კიდეც, თუმცა უნდა აღინიშნოს იმათი, ვინც ამას იმსახურებს. ამ არც თუ ისე მრავალფეროვანთა შორის, ვინც ეს დაიმსახურა, თქვენ ერთ-ერთი უპირველესი ბრძანდებით. თქვენ გაქვთ უფლება, რომ მოიხედოთ უკან და თვითონაც კმაყოფილი იყოთ განვლილი გზით. საზოგადოების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, დიდად განათლებული პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, დიდი მეცნიერი, რომელმაც არაერთ სასოწარკვეთილ ადამიანს აღუდგინეთ სმენა და დაუბრუნეთ ცხოვრების აზრი. საკუთრივ სამეცნიერო დამსახურებაზე, როგორც ექიმზე, სიტყვა კოლეგებს ეკუთვნით.

თქვენ თაობას უმძიმეს და ურთულეს პირობებში მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა, მაგრამ თქვენ ყველა ვითარებაში შეინარჩუნეთ მოქალაქეობრივი ღირსება, უმწიკვლო პიროვნების მაგალითი იყავით და ბრძანდებით, ძალიან ჭირდებით ერს, ქვეყანას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თქვენ შესანიშნავ ოჯახთან ერთად, საიუბილეო თარიღს თქვენ მშვენიერ და ერთგულ მეუღლეს, ჩემთვის ახლობელ საყვარელ ლალისაც ვულოცავ.

**მარიამ ლორთქიფანიძე.**

## ჭეშმარიტი მამულიშვილი

ბატონი სიმონ ხეჩინაშვილის მოღვაწეობა ღვთით ბოძებულმა ნიჭიერებამ განაპირობა. იგი ბრწყინვალე პიროვნება, ჭეშმარიტი ინტელიგენტია. ყოველგვარი ხმაურის გარეშე დაუღალავმა შრომამ მას მრავალი გამარჯვება მოუტანა. მისი პროფესიონალიზმი ბევრი სახელმწიფო ჯილდოთი აღინიშნა. მისი სახელი მსოფლიო სამედიცინო წრეებში არის აღიარებული. იგი ლექციებს უცხოეთშიც კითხულობდა.



ბატონი სიმონი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელია. მის სახლში შეხვდებით მწერლებს, მუსიკოსებს, რეჟისორებს, მხატვრებს. ბატონ სიმონთან ერთად მათი მასპინძელია მისი მეუღლე – მშვენიერი ქალბატონი ლალი, პროფესიით ასევე ექიმი.

ბატონი სიმონის შრომითი შემოსავლის ნახევარი ყოველთვის მხატვართა ალბომების, წიგნების, მუსიკალური ფირფიტების და, რაღა თქმა უნდა, იმ ჟურნალების შეძენას ხმარდება, რომლებშიც მსოფლიოს მასშტაბით სამედიცინო მიღწევებზე და სიახლეებზეა საუბარი.

ბატონმა სიმონმა ნატვრა აისრულა: მისი ძალისხმევით თბილისში ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა კლინიკა აშენდა. დღეს შენობა სიმონ ხეჩინაშვილის სახელს ატარებს. კლინიკა მედიცინის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით არის აღჭურვილი. აქ მაღალპროფესიონალი ექიმები, მეტწილად მისი აღზრდილები მოღვაწეობენ.

ბატონი სიმონი გულმხურვალე პატრიოტი, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილი, საერთაშორისო არენაზე აღიარებული ექიმი, გამოჩენილი აკადემიკოსია. მის წინაშე მადლიერების გრძნობა გეუფლება და გიჩნდება სურვილი, რომ მუდამ მხნედ და ჯანმრთელად იყოს.

ვულოცავ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ დღეგრძელობას, სიკეთესა და ბედნიერებას მის დიდ ოჯახთან ერთად.

**მერაბ ბერძენიშვილი**

### ღიმილი

## ერთი „დაბნეულთაგანი“

***დიდი სწავლულები რომ არცთუ იშვიათად „ექვემდებარებიან“ დიდსავე დაბნეულობას, „არ ახალია, ძველია“ (გავიხსენოთ გენიალური ფიზიკოსი ისააკ ნიუტონი). ჩვენი უთვალსაჩინოესი ოტოლარინგოლოგი, ოქროსხელება ქირურგი-ოპერატორი სიმონ ხეჩინაშვილიც ვერ ასცდა ამგვარ „სტატუსს“. ეს არცაა გასაკვირი – მეცნიერულ პრობლემებზე, პროფესიულ საქმიანობაზე, სპეციფიკურ ამბებზე გამუდმებული ჩაღრმავებული ფიქრი (ყოველდღიურობის, ყოფითი მომენტების მიღმა) ჩვეულებრიობიდან, რიგითობიდან ხშირად გადაიყვანს ხოლმე რჩეულთ...***

***ბატონი სიმონის უმცროს კოლეგებთან გასაუბრებით რამდენიმე ეპიზოდი „მოვიპოვე“ ჩვენი სასიქადულო იუბილარის ცხოვრებიდან.***

თვალუწვდენი საბჭოეთის რომელიც გნებავთ კუთხიდან არ ჩამოდიოდნენ ავადმყოფები სიმონ ხეჩინაშვილთან თბილისში. ერთ ბაქოელ აზერბაიჯანელ ქალს ოპერაცია-მანიპულაციის ჩატარების შემდეგ ეკითხება ბატონი სიმონი:

– ოპერაცია დამთავრებულია, როგორ გესმით ჩემი?

– კარგად, ბატონო, ოღონდ მეორე ყური მტკიოდა...

* * *

კლინიკის დერეფანში ბატონი სიმონი პატივსაცემ თანამშრომელს გადაეყარა. ქუდის მოხდა დააპირა მისასალმებლად, მაგრამ რას მოიხდიდა, რაც არ ეხურა:

– რა კარგია, რომ შეგხვდით, ვიფიქრე, მივესალმები და ქუდს მოვუხდი-მეთქი, მაგრამ ქუდი თურმე კაბინეტში დამრჩენია და ამიტომ მისალმებაც გადავიფიქრეო...

* * *

საქართველოდან გერმანიაში, ჰალეში ჩასულა დელეგაცია. მოგეხსენებათ, ქართულისგან განსხვავებით, როგორი განთქმულია გერმანული ლუდი. ბატონმა სიმონმა თანამგზავრებს რამდენიმე ბოთლი ლუდი უყიდა და აქებს – გასინჯეთ, საუკეთესო ლუდი მოგიტანეთო. დააგემოვნა ერთმა სასმელის მცოდნემ და დაიწუნა – მოტკბო გემოსია, კომპოტს ჰგავსო. დააკვირდნენ წარწერას და ამოიკითხეს: „ლუდი მეძუძური ქალებისთვის“...

* * *

ერთი კოლეგა სიმონ ხეჩინაშვილის ბინის კარზე რეკავს ზარს. იმავდროულად ბინაშიც აწკრიალდა ტელეფონი. მასპინძელი კარს აღებს და პარმაღზე მდგომს ეუბნება:

– ალო!..

* * *

ბატონ სიმონს თვალზე ცხიმულა (ლიპომაძ გასჩენია. წაუყვანიათ ცნობილ ოფთალმოლოგთან ჯიმი ანთელავასთან. საოპერაციოში პაციენტი ხელსაბანთან მისულა, ხელები დაუკაპიწებია და ავტომატურად დაუწყია დაბანა.

– ბატონო სიმონ, ოპერაციას თქვენ მიკეთებთ თუ მე გიკეთებთო? – უკითხავს განცვიფრებულ ჯიმის...

ჩაიწერა
**თამაზ ეზანოიძემ.**



*მხატვარმა მალხაზ კუხაშვილმა ასე წარმოიდგინა აუდიოლოგიისა და სმენის რეაბილიტაციის ცენტრი. დირიჟორის ჯოხით აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი.*

## ვირტუოზი ოსტატი

ჯერ კიდევ ახალგაზრდას ბედმა მარგუნა სიახლოვე ბატონ სიმონ ხეჩინაშვილთან და მისი ოჯახის წევრებთან. ჩემთვის ეს სიახლოვე ზედმიწევნით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვინაიდან ბატონი სიმონის პიროვნება ჩემს წარმოდგენაში გაიგივებულია სამყაროს იმ რჩეულ წარმომადგენლებთან, რომელთა ნოვატორულმა მოღვაწეობამ საერთაშორისო რეზონანსი მოიპოვა და მედიცინაში წარუშლელი კვალი დატოვა.

ალბათ ამით არის განპირობებული, მიუხედავად ჩვენი სიახლოვისა, ჩემი ზედმიწევნით მოკრძალებული დამოკიდებულება ამ უნიკალური პიროვნების მიმართ.

განა მაღალი ხელოვნების ტოლფასი არ არის ბრწყინვალე დასტაქრის ვირტუოზული ოსტატობა შერწყმული საზოგადო მოღვაწის გამორჩეულ თვისებებთან? ამიტომაც მიმაჩნია ბატონი სიმონ ხეჩინაშვილი ცოცხალ კლასიკოსად! ვერიდები მაღალფარდოვან გამონათქვამებს, მაგრამ პიროვნება, რომელმაც მითი რეალობად აქცია, საყოველთაო თაყვანისცემის ღირსია.

**გია ყანჩელი**

## ჰერეთი — ჩვენი გულისტკივილი

# სანახევროდ გადაჭრილი ძარღვი

## როგორ წაართვა ქართულმა რეფორმამ და ქართველმა ქართველს იმედი

**ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის დარბაზში გაიმართა შეხვედრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ თენგიზ პაპუაშვილთან. გამომცემლობა „არტანუჯმა" შარშან დასტამბა თენგიზ პაპუაშვილის წიგნი: „საინგილოს ისტორიის ნარკვევები" (საქართველოს აღდგომისა და გამოხსნისათვის ბრძოლა კაკ-ელისენის გამო). წიგნი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცა და მასში ასახულია საინგილოს (კაკ-ელისენის) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მეცნიერული სურათი მისი აღმოცენების დროიდან 1921 წლამდე, როცა იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოექცა.**

ბატონმა თენგიზ პაპუაშვილმა განმარტა, რომ ამ ნარკვევებში გადმოცემულია საინგილოს ისტორია პირველწყაროთა ანალიზის საფუძველზე, წიგნის გამოცემა კი განუპირობებია ერთ არასასიამოვნო ამბავს: აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში, სამწუხაროდ, მკვიდრობს აზრი, რომ დღევანდელი საინგილო არანაირად არ უკავშირდება ქართულ ეთნიკურ სამყაროს და მისი მაცხოვრებლებიც ალბანელები არიან. ამას ღიად, ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ აზერბაიჯანელი ისტორიკოსები იგრან ალიევი და ფარიდა მამედოვა, რომ ინგილოები კავკასიის ალბანეთის მკვიდრი არიან, და ეს ტერიტორია არასოდეს არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, ბატონი თენგიზის თქმით, მათი მსჯელობა, არანაირ მეცნიერულ არგუმენტს არ ეფუძნება.

„აზერბაიჯანული ისტორიოგრაფიისთვის პასუხის გასაცემად შევქმენი ზემოხსენებული ნაშრომი, სადაც გადმოცემულია მთელი ისტორია საინგილოს, ანუ ჰერეთის წარმოქმნიდან მე-20 საუკუნემდე, როდესაც იგი უსამართლოდ მოექცა აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში", — აღნიშნა თენგიზ პაპუაშვილმა.

ასპირანტურის სწავლის პერიოდში მისი ხელმძღვანელი ყოფილა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. მას შეურჩევია ასპირანტებისთვის თემები: „მე შემირჩია — ჰერეთი, მეორე ასპირანტს კი — ტაო-კლარჯეთი, ანუ დაკარგული ტერიტორიების ისტორიის შესწავლას დიდ ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი შესანიშნავი მეცნიერები, აკადემიკოსები ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია", — აღნიშნა თენგიზ პაპუაშვილმა.

მეცნიერს მშვენივრად ახსოვს ისიც, თემის აღების შემდეგ როგორ ჩავიდა საინგილოში ძეგლების დასათვალიერებლად, მაგრამ არ დააცალეს... გამოჰკითხეს, ვინ იყო და რას დაიარებოდა... შემდეგ კი ბაქოში ჩაბრძანება და ნებართვის აღება მოსთხოვეს. ბაქოში მას, მართლაც, მისცეს ცნობა, რომ ჩამოსულია თენგიზ პაპუაშვილი, ვისაც აზერბაიჯანის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება აინტერესებსო(?!).

მწიგნობართა ასოციაციის დარბაზში გამართულ შეხვედრაზე ნოდარ ტაბიძემ, მარიამ ლორთქიფანიძემ, ნანა ხაზარაძემ, ოთარ ჟორდანიამ, ვლადიმერ ზარიძემ... კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ასეთი პოლიტიკა საინგილოში დღემდე გრძელდება.

გულდასაწყვეტია, რომ უძველესი დროიდან ქართველთა ძირძველი მიწა-წყალი — ჰერეთი დღეს სადავო გამხდარა. ორმაგად სამწუხაროა, რომ იქაურ ქართველობას მოფრთხილებისა და ხელშეწყობის ნაცვლად ჩვენი დაუდევრობით პრობლემებს ვუქმნით.

შეხვედრაზე გახმიანდა, რომ ჰერეთელ ახალგაზრდებს ერთადერთი შეხების წერტილი საქართველოსთან — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოეცალათ ხელიდან. ეს მოხდა „ვარდების ხელისუფლების" საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ, კახა ლომაიას ხელმძღვანელობით, როდესაც 2004 წლამდე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჰერელი აბიტურიენტებისთვის მოქმედი ლიმიტების პროგრამა გაუქმდა. ჰერელების აზრით, საგანმანათლებლო რეფორმამ, რომლის არსიც აბიტურიენტებისთვის კონკურენტული გარემოსა და თანაბარი სასტარტო პირობების შექმნა იყო, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონების მაჰმადიან ქართველთა სრული ფიასკო გამოიწვია. ქართულ სკოლებში სწავლის ხარისხის ამაღლებაზე გათვლილმა რეფორმამ მაჰმადიან ქართველთა სკოლებში უნებურად უკუპროცესი გამოიწვია და ქართული სექტორი დახურვამდე მიიყვანა — აზერბაიჯანული სექტორების გაფართოების ხარჯზე ქართული სექტორები ხელოვნურად შეიკვეცა მაჰმადიან ქართველთა სოფლებში. ელისენ-ალიაბადში რეფორმიდან ერთ წელში მე-3 სკოლაში ქართული სექტორი დახურულა, იგივე განმეორდა მე-2 სკოლაში. დანარჩენ ორ სკოლაშიც საგანგაშო ვითარებააო, — მითხრეს ჰერელმა ახალგაზრდებმა. ქართული სექტორების დახურვის შემდეგ, ბუნებრივია, მშობელს შვილი აზერბაიჯანულ სექტორზე გადაჰყავს, რომლის დასრულების შემდეგ იგი უპრობლემოდ აგრძელებს სწავლას ბაქოს უნივერსიტეტში.

„რეფორმამდე, ხელოვნური სუბიექტური ბარიერების წინაშე მდგომ მაჰმადიან ქართველს საქართველოს იმედი აძლებინებდა, რომ თუ ხელოვნურად შეზღუდული შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმუმს გაიღებდა სკოლაში სწავლისას, მაშინ ლიმიტის დახმარებით მაინც მიაღწევდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლამდე, მაგრამ ეს იმედი მას ისევ ქართველმა წაართვა"... — აუღელვებლად ვერ მოუსმენ ჰერელების გულისტკივილს (გასაგები მიზეზების გამო გვარებს არ ვასახელებძ, ისინი ითხოვენ არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების, არამედ მთელი ინტელიგენციის ძალისხმევას პრობლემის გადასაწყვეტად, რათა საქართველოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი სანახევროდ გადაჭრილი ძარღვი ბოლომდე არ გაწყდეს... მათი მოთხოვნაა, ნებისმიერი ფორმის ან მეთოდის შემუშავება, რომ წელიწადში მინიმუმ 30 საუკეთესო მაჰმადიანი ჰერელი აბიტურიენტი ქართულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდეს. ამით ზაქათლისა და ბელაქნის მაჰმადიანურ სოფლებში ქართული სკოლები კვლავ შეინარჩუნებენ თვითმყოფადობას.

ქალბატონ ნანა ხაზარაძის ინიციატივაა, იქნებ ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ იზრუნოს ჰერელი ახალგაზრდებისთვის ლიმიტებზეო. მას სხვებიც დაეთანხმნენ.

ქალბატონმა მარიამ ლორთქიფანიძემ კი აღნიშნა, რომ თენგიზ პაპუაშვილის ზემოხსენებული წიგნი სოლიდური მეცნიერული გამოკვლევაა ჰერეთზე და იგი იმ ენაზე უნდა ითარგმნოს, რომელზეც აზერბაიჯანელები წაიკითხავენო. „ტერიტორიის დაბრუნებაზე ლაპარაკი არ არის, ჩვენი ისტორია უნდა შევინარჩუნოთ", — დასძინა მარიამ ლორთქიფანიძემ.

ამისთვის ვფიქრობ, აქტიური სახელმწიფოებრივი პოლიტიკაა განსახორციელებელი. დღეს პასიურობა სიკვდილს უდრის. ჰერელებს ჩვენი ყურადღება და თანადგომა სჭირდებათ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## არა ოდენ ლექსით...

**იოსებ გრიშაშვილი რომ გამორჩეული ლექსის, უნიკალური ლიტერატურულ-ისტორიული გამოკვლევების, უმდიდრესი პირადი ბიბლიოთეკა-არქივის პატრონია, ამაზე დღეს თითქმის არავინ დაობს. მეოცე საუკუნეში ქართველ პოეტთაგან არავის რგებია მკითხველის ისეთი „ნაადრევი", სიყმაწვილის ასაკშივე აღიარება, როგორც ეს ხარფუხში თითქმის უპატრონოდ გაზრდილ ბიჭს არგუნა უფალმა. 18-20 წლის სოსო გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკა თითქმის ზეპირად იცოდა მთელმა თბილისმა და გულწრფელად მღეროდა კიდეც.**

# მოვუაროთ გრიშაშვილის განძს!

ოდენ იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, რომ 19 წლის ჭაბუკის მიერ დაწერილი „რომანსი" („შენ ხარ ღვთაება ამქვეყნიური, შენ ხარ ოცნება ნაზი, ციური, შენ ხარ მთის წყარო ტკბილმოკამკამე... შენი კვნესამე!..") ოთხივე სტროფი სიტყვასიტყვით გადაწერა „საქართველოს ბულბულმა" აკაკი წერეთელმა და... საკუთარ აღსასრულამდე რამდენიმე თვით ადრე, 1914 წლის 23 აპრილს, სიამაყით წარმოსთქვა იოსებ გრიშაშვილის პოეზიის პირველ ოფიციალურ საღამოზე ოპერის თეატრში. გრიშაშვილის ამღერებული ლექსები იმდენად შეიყვარა და გაითავისა მკითხველმა, მეოცე საუკუნის 20-იან წლებში მის პოპულარობას თვით ქართული პოეზიის დენდებიც კი შენატროდნენ... ახლა ამ დენდების გვარ-სახელების ჩამოთვლას აზრი არა აქვს, რადგანაც დრომ და ისტორიამ ყველას (თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა) საკუთარი ადგილი მიუჩინა.

იოსებ გრიშაშვილის პოეტურ და პიროვნულ ფენომენთან დაკავშირებით, თურმე, ჩვენი და წინა თაობების უჟამო ჟამი ერთ საიდუმლოსაც ინახავდა: მისი ლამაზი, ფხიანი შემოქმედება ჩვენ რომ გვეგონა იმაზე მეტად სავსე ყოფილა მკაცრი მოქალაქეობრივი პოზიციით, ეროვნული ტკივილით დაღდასმული ლექსებით. სამწუხაროდ, ეს ლექსები 1992 წლამდე გრიშაშვილის არც ერთ სოლიდურ გამოცემაში არ შესულა. გამომცემლობა „ინტელექტის" მიერ ახლახან უნაკლოდ გამოცემული კრებული — „100 ლექსი" კი ძირითადად ადრე დაუსტამბავი შედევრებით შეივსო და ერთობ გაახარა ჭეშმარიტი პოეზიის თაყვანისმცემლები.

კრებული შეადგინა იოსებ გრიშაშვილის დის შვილიშვილმა, პოეტის უნიკალური ბიბლიოთეკა-მუზეუმის ერთ-ერთმა მცველმა და მთავარმა პატრონმა ნოდარ გრიგორაშვილმა. წიგნს ვრცელი წინასიტყვაობა დაურთო ცნობილმა ჟურნალისტმა და ბიბლიოფილმა პაატა ნაცვლიშვილმა.

ამ მცირე პუბლიკაციაში აუცილებლად უნდა მოვიტანო ამონარიდი ჩვენი კოლეგის წინასიტყვაობიდან: **„იოსებ გრიშაშვილმა საქართველოს თავისი მრავალმხრივი და მდიდარი შემოქმედების გარდა დიდი მატერიალური განძიც დაუტოვა — ეს გახლავთ მისი უნიკალური ბიბლიოთეკა, რომლის მრავალტომიანი კატალოგი მოცულობით უფრო მეტია, ვიდრე გრიშაშვილის დღემდე გამოცემული ორივე ხუთტომეული ერთად აღებული და რომელიც იოსებ გრიშაშვილის სხვა კოლექციებთან ერთად მისი სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმშია დაცული... ავთანდილ ვარაზის ნატიფი გემოვნებით მოწყობილი ამ ბიბლიოთეკა-მუზეუმის ექსპოზიცია თავისთავად მნიშვნელოვან და საყურადღებო ექსპონატებს კიდევ უფრო საინტერესოსა და შთამბეჭდავს ხდის. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი კერაც მივიწყებულია გრიშაშვილის მთელი შემოქმედების, მისი მოღვაწეობისა და მისი სახელის მსგავსად"...**




სწორედ გრიშაშვილის დიდი შემოქმედებისა და სახელის პატივისცემის მიზნით მოეწყო მისი 100 ლექსის კურთხევა (პრეზენტაციაძ პოეტის ბიბლიოთეკა-მუზეუმში, მაგრამ... ეს ლიტერატურული საღამო დიდი გულისტკივილით და კამათით დასრულდა: მუზეუმის მცველები სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამდნენ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის მიმართ. 2006 წელს გრიშაშვილის მუზეუმი საპატრონოდ სწორედ ამ საბიბლიოთეკო გაერთიანებას გადაეცა, მაგრამ... ხეირიანად მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ მუზეუმში წყალი ჩამოდის, ექსპონატები ნადგურდება; გათბობა არ არის, ტემპერატურის რეჟიმი ირღვევა, სიგნალიზაცია არ მუშაობს, მუზეუმი გაძარცვა-გაპარტახების პირზეა!!!

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი კი დაჟინებით გვიმტკიცებდა — 110-კაციანი კოლექტივის ხელფასებს, ბიბლიოთეკების, გრიშაშვილის მუზეუმის სრულყოფილ მოვლა-პატრონობას ჩვენი წლიური დაფინანსება — 350 000 ლარი არ ჰყოფნისო!

— თუ თქვენ ამ უნიკალური ბიბლიოთეკა-მუზეუმის შენახვა არ შეგიძლიათ, ჩვენ ვთხოვთ დედაქალაქის მერიას ან კულტურის სამინისტროს, რომ საკუთარ ბალანსზე აიყვანოს გრიშაშვილის მართლაც უნიკალური ბიბლიოთეკა-მუზეუმი! — პრინციპულად დასვეს საკითხი ხარფუხში შეკრებილმა მწერლებმა, ჟურნალისტებმა, რედაქტორ-გამომცემლებმა და, რაღა თქმა უნდა, მუზეუმის დღევანდელმა მცველებმა.

— მართალია, გრიშაშვილის ანდერძით ეს ბიბლიოთეკა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა, მაგრამ... ყველაფრის მოლაპარაკება და საქმის გამოსწორება შეიძლებაო, — დაგვეთანხმა ირაკლი ღარიბაშვილი...

მართლაც, საქმის გამოსწორება შეიძლება, ოღონდაც საამისოდ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის უდიდესი ტურისტული, საგანმანათლებლო, სამოქალაქო მნიშვნელობა უნდა ვაღიაროთ და ერთი პატრონი მივუჩინოთ.

**ჩვენი რწმენით, ძველი თბილისის უბადლო მომღერალს, დიდ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს, „ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის" ავტორს, ერთი მწერლის მიერ შეგროვილ უნიკალურ წიგნებს (მინიმუმ 46 000 ერთეულს) ბიძინა ივანიშვილის მსგავსმა დიდმა ქველმოქმედმა უნდა მიხედოს და ფინანსურ კრიზისში მყოფ სახელმწიფოს ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარებაშიც შეეხიდოს!**

**სპარტაკ ქობულია**

## დედამიწის ზურგზე

**„თანამედროვე მოაზროვნეთა" ასეულში ადგილი არ აღმოჩნდა რუსეთელებისთვის**

სიის პირველ სამეულში, რომელიც ჟურნალმა „ფორინ პოლისმა" შეადგინა, შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ბენ ბერნანკე, პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ირანელი ოპოზიციონერის ზახრ რანავარდის ცოლი. რუსეთში, ეტყობა, არ არის იდეა, რომლის მოსმენაც ენდომებოდათ დასავლეთში.

**აშშ-ში წარმოადგინეს რაკეტოპლანი კოსმოსური ტურიზმისთვის**

თვითმფრინავიდან 35 კილომეტრის სიმაღლეზე გამოყოფის შემდეგ 18 მეტრის კოსმომფრენი, რომელშიც იქნებიან ორი მფრინავი და ექვსი მგზავრი, სარაკეტო ძრავის დახმარებით ავა 110 კილომეტრის სიმაღლეზე. იქ ტურისტებს შეეძლებათ მოიხსნან თავიანთი სავარძლის ქამრები 4-5 წუთის განმავლობაში და იმყოფებოდნენ უწონადო მდგომარეობაში.

**ამერიკულმა უპილოტო თვითმფრინავმა პაკისტანში სამი ბოევიკი მოკლა**

პაკისტანის სპეციალური სამსახურების მონაცემებით, ერთ-ერთმა ამერიკულმა რაკეტამ გაანადგურა ავტომობილი, რომელშიც იმყოფებოდნენ სავარაუდოდ ისლამელი რადიკალები. ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს უპილოტო აპარატი შევიდა პაკისტანის საჰაერო სივრცეში ავღანეთის მხრიდან. მისი დარტყმა გახდა პირველი ობამას გადაწყვეტილების შემდეგ — გაგზავნოს ავღანეთში დამატებითი შეიარაღებული ძალები.

**პრეზიდენტ ობამას პოპულარობა კვლავ ეცემა**

ამჟამად მის საქმიანობას იწონებს ამერიკელთა 48 პროცენტი. ამასთან ერთად განზრახვას, გაიგზავნოს ავღანეთში კიდევ 30 ათასი სამხედრო, მხარს დაუჭერს მოქალაქეთა 60 პროცენტმა. 70 პროცენტმა კი მოიწონა ჯარების გამოყვანა 2011 წელს. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ობამა არ არის ამერიკის შეერთებული შტატების ერთადერთი პრეზიდენტი, ვისი რეიტინგიც ხელისუფლების სათავეში ყოფნის პირველი წლის განმავლობაში დაეშვა 50 პროცენტზე დაბლა.

## ერთი ენით, ერთი რწმენით...

# ახალი სიტყვა სამეგრელო-აფხაზეთის ქართულ ეპიგრაფიკაში

***საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი პრემიები მიენიჭათ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მოღვაწე ქართველ მკვლევარებს. მათ შორის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. ვალერი სილოგავას მონოგრაფიისათვის „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“.***

2006 წელს გამოქვეყნდა პროფ. ვალერი სილოგავას მეტად მნიშვნელოვანი მონოგრაფია – „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“ (მეორე გამოცემა, პირველად დაიბეჭდა 2004 წელს). თუმცა ეს წიგნი დღეს მაინც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. დღეს, როდესაც რუსეთის სამხედრო ძალა აფხაზეთის სეპარატისტებთან შეთანხმებით საგულდაგულოდ სპობს აფხაზეთში ქართული ცხოვრების ფაქტებს, აყალბებს თითქმის მთელ ისტორიას, ვალერი სილოგავას წიგნი ჭეშმარიტი დოკუმენტია აფხაზეთ-სამეგრელოს ქართული ცხოვრებისა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, წიგნით ნათლად ჩანს საუკუნეების მანძილზე დასავლეთ საქართველოს ორი დიდი რეგიონის სამეგრელოსა და აფხაზეთის მჭიდრო კულტურულ-ისტორიული კავშირი მთელ საქართველოსთან. როგორც ავტორი მოხდენილად წერს – ერთი ენა, ერთი რწმენა, ერთი ქვეყანა ის ცნებებია, რომელნიც აერთიანებს სამეგრელოსა და აფხაზეთს მთელ საქართველოსთან და მას საერთო ქართული სინამდვილის მუდმივ და განუყრელ ნაწილად აქცევს.

პროფ. ვალერი სილოგავა თანამედროვე ისტორიკოსთა შორის აღიარებული სპეციალისტია. იგი არის, უპირველეს ყოვლისა, ეპიგრაფიკოსი, წყაროთმცოდნე და არქეოგრაფი. მან ეს სკოლა აწ გარდაცვლილი ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის ხელმძღვანელობით გაიარა და დღესაც წარმატებით აგრძელებს ხელმძღვანელის ნაანდერძევ საქმეს. ვალერი სილოგავას ფეხით აქვს შემოვლილი საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული და საკუთარი თვალით აქვს აღრიცხული ყოველი ძეგლი, ყოველი მინაწერი თუ მონახაზი. 1970-1972 წწ., 1985-1986 წლებში მოპოვებული მასალა საფუძვლად დაედო წიგნს, რომელიც წლების განმავლობაში იწერებოდა. დღეს, როდესაც პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, როდესაც აფხაზეთის სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომელსაც გულდაგულ უჭერს მხარს და საგანგებოდ აღვივებს რუსეთის ხელისუფლება, რომელმაც ყოველგვარი ეროვნული თავდაყირა დააყენა, აფხაზეთი და მისი ისტორიული ძეგლები, ეპიგრაფიკული მასალა ობიექტურ მკვლევართათვის ხელმიუწვდომელი გახდა, ფალსიფიცირებული ლიტერატურის პროპაგანდა დაიწყო. ამ დროს ვალერი სილოგავას წიგნი მეცნიერული აკადემიური სიახლეების გარდა პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენს.

სარეცენზიო წიგნი ოთხი მონაკვეთისაგან შედგება: I – ჭყონდიდი და მისი ეპიგრაფიკა; II – ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკა; III – წარწერები ლიხნის ტაძრის ქართულ მონეტებზე და IV – აფხაზეთის ლაპიდარული და ჭედური წარწერები.

ჭყონდიდი – საქართველოს ისტორიაში ერთობ ცნობილი ტოპონიმია. იგი იყო საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი კუთხის – სამეგრელოს საეკლესიო ცენტრი. მასთან დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპები. დავით აღმაშენებელმა სახელმწიფოს მმართველობის ახლებური მოწყობისას დააკანონა სამეფოს უპირველესი ვაზირის – მწიგნობართუხუცესის ტიტული და ეს საერო და საეკლესიო სახელი ჭყონდიდის საეკლესიო კათედრას დაუკავშირა. ეს არ იყო შემთხვევითი ფაქტი. ამით დავით აღმაშენებელმა დასავლეთ საქართველოს უდიდესი რეგიონი ჩართო როგორც ქვეყნის საერთო სახელმწიფოებრივ მართვის სისტემაში, ასევე საეკლესიო ცხოვრების მართვის სისტემაშიც. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმა შუასაუკუნეებში არეგულირებდა ქვეყნის სამოქალაქო და სასულიერო ცხოვრების პრინციპებს.

წიგნის პირველი ნაწილი ორ მონაკვეთს აერთიანებს. პირველი ჭყონდიდის საკათედრო ტაძრის წარწერები და მეორე – ამავე ტაძრის გრაფიტები, სულ 9 ლაპიდარული და 83 ნაკაწრი წარწერა. უნდა ითქვას, რომ თავისთავად მეტად საინტერესო (ცოტა მშრალიც) ფაქტები, რომლის ქრონოლოგია X-XVIII საუკ. განისაზღვრება, ძალზე ფართო, მასშტაბური ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მასალის ფონზეა შესწავლილი და განხილული. მოხმობილია დიდძალი მასალა ძველ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებიდან, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებიდან, სიგელ-გუჯრებიდან და სხვა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ავტორს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, წინამავალ მკვლევართა შენიშვნა, რომლებიც გამოქვეყნებული ფაქტების წყაროთმცოდნეობითი ანალიზისა და აკადემიურობისათვის იყო აუცილებელი. ავტორი აყენებს მეტად საინტერესო ზოგად დებულებას: „ნაკაწრი წარწერების გამოვლენამ დღის წესრიგში დააყენა ქართული ნაკაწრი წარწერების შესწავლის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები... ნაკაწრი წარწერების პალეოგრაფიული შესწავლა“. ეს პრობლემა დღეს ჩვენი ისტორიოგრაფიის წინაშე დგას.

ამავე მონაკვეთში დამატების სახით შეტანილია ქვეთავი „ნოქალაქევის ქვეყნის“ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან“ (გვ. 164-187). ნოქალაქევში პროფ. პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამუშაოები. ამ პერიოდში აღმოჩნდა X-XVI საუკუნეების წარწერები, რამდენიმე ფრაგმენტულადაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრაგმენტები ნოჯიხევის რვაფსიდიანი ეკლესიიდან. თავისთავად ამ ეკლესიის ნანგრევების აღმოჩენით ქართულ ხელოვნებას შეემატა უნიკალური ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომლის მსგავსი ჯერჯერობით ჩვენს სინამდვილეში უცნობია. აქ აღმოჩნდა ასომთავრული წარწერის 17 ფრაგმენტი, რომლებიც, მართალია, ერთმანეთს არ ებმის, მაგრამ უეჭველია, რომ შემორჩენილი ასოები X საუკუნით თარიღდება. მოპოვებული მასალა ადასტურებს ბატონი ვალერის თეზას **„ერთი ენა, ერთი რწმენა, ერთი ქვეყანა“.**

მეორე ნაწილი ეთმობა „ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკას“. თავისთავად ეს მონაკვეთი შედგება ორი თემისაგან: პირველი, ისტორიული შინაარსის ფრესკული წარწერები ტაძარში და მეორე – წარწერების ფრაგმენტები ტაძრის ქორედის კედლებზე.

ლიხნი გუდაუთის აღმოსავლეთით მდებარეობს. იგი შერვაშიძეთა გვარის რეზიდენცია იყო, რომელთა სასახლე რუსეთმა 1866 წელს ნაცარტუტად აქცია.

აფხაზეთში მრავალი მნიშვნელოვანი ქართული ძეგლი შემორჩა, რომელთა შორის ლიხნის გვერდით უნდა დავასახელოთ ბიჭვინთის, დრანდის, ბედიის, მოქვის და სხვ. უნდა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ლიხნის ტაძარი, რომელიც X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს აგებული, ქართული მწერლობისა და კულტურის აქტიური ცენტრი იყო. მან დღემდის თითქმის უცვლელად მოაღწია. ტაძრის შიდა კედლები დაფარულია მაღალი გემოვნებით შესრულებული ფრესკებით, რომელთაც ახლავს ასომთავრული განმარტებითი წარწერები.

ლიხნის წარწერებმა ადრევე მიიქციეს სპეციალისტების ყურადღება. მარი ბროსემ, დიმიტრი ბაქრაძემ და სხვებმაც ზოგიერთი წარწერა ადრევე აქციეს საზოგადოების ყურადღების საგნად. მაგრამ უნდა ისიც ითქვას, რომ ტექსტები ბოლომდე არ იყო წაკითხული და კვალიფიკაციაც – ყოველთვის დამაჯერებელი. სარეცენზიო წიგნში ყველა წარწერა წაკითხული და გამოქვეყნებულია პალეოგრაფიული ასლებით. სრულად არის წარმოჩენილი მათი ყველა ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ღირებულება. ლიხნის ტაძრის ოთხივე წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და გარდამავალი მხედრული დამწერლობით. ვალერი სილოგავამ, ვფიქრობთ, დამაკმაყოფილებლად აჩვენა წარწერების მნიშვნელობა არა მარტო საქართველოს ისტორიისთვის, არამედ იმდროინდელი ბიზანტიის ისტორიისთვისაც.

შრომის ამ ნაწილს სავსებით ლოგიკურად ერთვის: აძ წარწერები ლიხნის ტაძრის მონეტებზე, ბაგრატ IV-ის; ბძ წარწერები მეფე გიორგი II-ის მონეტებზე. ამ პარაგრაფს თავის მხრივ ორი დამატება ახლავს: აძ „მეფე გიორგი II-ის მონეტა კესაროსის ტიტულით“ და ბძ „დავით აღმაშენებლის მონეტა სევასტოსის ტიტულით“.




აფხაზეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები, რომლებიც XI-XIIსს. ქართველ მეფეთა მიერ არის მოჭრილი, ასახავს იმ პერიოდს, როდესაც ქვეყნის გაერთიანებისათვის იბრძვის მეფეც და ბერიც. ლიხნის ტაძრის მონეტების განხილვას ამ კონტექსტში, როდესაც დასავლეთ საქართველოს ორი დიდი რეგიონის ისტორიული წარწერების მეცნიერული შესწავლა და პუბლიკაცია ხდება, ის გამართლება აქვს, რომ, ჯერ ერთი, მონეტების ეპიგრაფიკაც პალეოგრაფიის შესასწავლი ობიექტია, მეორეც ის აუცილებლობაც არის, რომ სრულად წარმოჩნდეს შუასაუკუნეების აფხაზეთის – საქართველოს სახელმწიფოს ორგანული ნაწილის სურათი. მთელი ეპიგრაფიკული მასალაც დასტურია ერთი განწყობის, ცხოვრების წესის.

წიგნის მეოთხე ნაწილში განხილულია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა დანარჩენი ისტორიული წარწერები, სულერთია ლაპიდარულია თუ ჭედურ ძეგლებზეა (ხატებზე). პირველ ჯგუფში შედის 32 ერთეული, რომლებიც IX-XIX საუკ. თარიღდებიან, ხოლო მეორე ჯგუფში 5 წარწერა. ესენია ილორის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის, ბედიის ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერები ბარძიმზე, წებელდის წარწერები იოვანე ნათლისმცემლის ხატზე, აბულასან იობისძის წარწერა წმ. ანდრია მოციქულის ხატზე და მარიამის წარწერა წმ. ეკატერინეს ხატზე. ყველა წარწერა XI-XII საუკუნეებისაა. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია სამეგრელო-აფხაზეთის თითქმის მთელი ეპიგრაფიკა. წიგნს ამშვენებს ყველა ძეგლის მაღალი გემოვნებით შესრულებული ილუსტრაცია.

ასეთია მოკლედ არქიტექტონიკა წიგნისა, რომელსაც ერთვის ბეჯითად შედგენილი სამეცნიერო-საცნობარო ინფორმაცია, ვრცელი ბიბლიოგრაფია და საძიებლები.

**პროფ. ვალერი სილოგავას დასახელებული წიგნი მიუთითებს ქართული ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის მაღალ დონეს. მკითხველმა მიიღო ერთი პრინციპითა და მიზნით შექმნილი მონოგრაფია, რომელსაც დღეს პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. სარეცენზიო წიგნი უტყუარი ფაქტებით ადასტურებს, რომ აფხაზეთი და სამეგრელო ისტორიულადაც და კულტურულადაც მთელი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. აფხაზეთის სამთავრო მთელი ისტორიის მანძილზე ქართული ორიენტაციით ცხოვრობდა, ცხოვრობდა ერთი ენით, ერთი რწმენით, ერთ ქვეყანაში.**

**მიხეილ ქავთარია**

## მწერლის ახალი წიგნი...



***მწერალ ვარლამ როდონაიას განვლილმა მრავალფეროვანმა წლებმა საშუალება მისცეს ღრმად ჩახედულიყო ერისა და ქვეყნის ბობოქარ ცხოვრებაში. ის არის მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, გადამდგარი ოფიცერი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, 23 ორდენისა და მედლის კავალერი, მათ შორის „ვახტანგ გორგასლის“ მეორე ხარისხის და ღირსების ორდენების მფლობელი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის წევრია.***

# „ფესვები“

ბატონ ვარლამ როდონაიას ამას წინათ 86 წელი შეუსრულდა, მაგრამ მიუხედავად წელთა სიმრავლისა, დღესაც თავს კარგად გრძნობს, მხნედ გამოიყურება და ამჟამად ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ჩხოროწყუს რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეა. ვარლამ როდონაია სამეცნიერო და სამწერლო საქმიანობას აქტიურად ეწევა. ჩვენთან და უცხოეთში ორმოცამდე შრომა აქვს გამოქვეყნებული...

ამას წინათ ბატონ ვარლამ როდონაიას ახალი სქელტანიანი (720-გვერდიანი) ნაშრომი **„ფესვები“** გამოიცა. ეს ავტორის მეშვიდე წიგნია, რომელიც იგი ისტორიული ფაქტების უხვად მომარჯვებით, მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ნააზრევის და საკუთარი თვალთახედვის საფუძველზე აქვს შექმნილი.

წიგნში ყურადღება არის გამახვილებული საქვეყნოდ აღიარებული ერისთავ ქუჯის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე... გადმოცემით ქუჯი სოფელ კირცხში დაბადებული და გაზრდილია. კიდევ ერთი ფაქტი:




რომაელი სარდალი პომპეუსი, რომელმაც დალაშქრა ქართლი და ჩააღწია მცხეთამდე, მობრუნდა უკან და სოფელ მუხურში დაბანაკდა. იმ ადგილას მუხურელები დღესაც „პომპიასშარას“ უწოდებენ... ქრისტემდე IV-III საუკუნეში დიდი ლაშქრით შემოიჭრა აზონი, აიღო მცხეთა და თავი ქართლის ერისთავად გამოაცხადა. ასეთი ძნელდებობის ჟამს ახალგაზრდა ფარნავაზმა ეპისტოლე აახლა თავის სიძეს, კოლხეთის ერისთავ ქუჯის. ერთიანი ძალით ქუჯიმ და ფარნავაზმა აზონი სასტიკად დაამარცხეს. აზონი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ფარნავაზი გაერთიანებული ქართლის მეფე გახდა...

წიგნში აღწერილია აგრეთვე სტალინის და ჰიტლერის საიდუმლო შეხვედრა, რომელიც გრიგოლ რობაქიძემ მოაწყო. საინტერესოა სტალინის პირადი მცველის მიშა თევდორაძის მოგონებები ბელადზე.

წიგნში მოთხრობილია ამბები კოლხეთის ისტორიიდან. ასევე ვრცლად არის გაშუქებული კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები, რაიონში დები იშხნელების, ცნობილი მსახიობების გასტროლები, ქართველი მწერლების, გამოჩენილი მეცნიერ-მუშაკების ჩამოსვლები და მათ მიერ ჩატარებული საინტერესო ღონისძიებები...

„ფესვები“ მიძღვნილია ჩხოროწყუს რაიონში დაბადებული და გაზრდილი ადამიანებისადმი, დაბეჭდილია მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ბიოგრაფიული ხასიათის წერილები და ფოტოები.

მწერლის ახალი წიგნი უთუოდ დააინტერესებს საქართველოზე შეყვარებულ, მისი ერთ-ერთი კუთხის – სამეგრელოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

# ახალგაზრდა შემოქმედის პირველი კრებული



**ახლახან თბილისის გამომცემლობა შპს „სიტყვამ“ დასტამბა ახალგაზრდა სენაკელი პოეტის მარიამ ნიკოლავას წიგნი „სადიდებელი წმიდა ალექსი ბერისა (შუშანიასი)“, რომლითაც ნათლად იგრძნობა ღმერთის, წმინდანისა და სამშობლოსადმი ავტორის გულწრფელი სიყვარული.**

წიგნის დაბეჭდვის ნებართვა გასცა საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის სარეცენზიო საბჭომ.

**იოსებ გობეჩია,**
„სრ“ საკ.კორ.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

ვიზიტი

# საკითხავი, აი, ესაა...



**უაღრესად დატვირთულია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავასა და გენერალური მდივნის რევაზ არველაძის შვეიცარიული ვიზიტის პროგრამა. საკითხავი ისაა, რამდენად ნაყოფიერი აღმოჩნდება იგი.**

სფფ-ს მაღალჩინოსნებმა ქალაქ ნიონის ერთ-ერთ ვიპ-რესტორანში საქმიანი სადილი გამართეს უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისთან და ვიცე-პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოსთან, ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის ეროვნულ ასოციაციათა განყოფილების თავკაც თეოდოროს თეოდორიდისთან კი კონფიდენციალური აუდიენცია ჰქონდათ.

მანამდე თანამედროვე ქართული ფეხბურთის მამები შვეიცარიულ კომპანია „ინფრონტსპორტის“ წარმომადგენელ მარტინ რუუსს შეხვდნენ, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩების ტელეტრანსლირებას უზრუნველყოფს და მასთან საუბარი „ევრო-2012“-ის შესარჩევ ციკლში თანამშრომლობის გახანგრძლივებას შეეხო. სხვათა შორის, სფფ-ს აღნიშნული კომპანიის ვალიც მართებს და მხარეებმა მისი გასტუმრების გრაფიკიც განიხილეს.

რადგან დავალიანება ვახსენეთ, დავძენთ, რომ სიჭინავასა და არველაძეს მისი დაფარვის თაობაზე შვეიცარიული „იუ ბი ეს“ ბანკის ემისარ კრისტიან ფურერთანაც მოუწიათ მსჯელობა. ფეხბურთის ფედერაციას ამ ბანკიდან სესხად 900 ათასი ევრო აქვს აღებული. შეგახსენებთ, რომ სფფ-ს „საქართველოს ბანკის“ 2 მილიონი დოლარი და „ტაოპრივატბანკის“ 300 ათასი ევროც მართებს.

დაბოლოს, იმასაც გაცნობებთ, რომ სფფ-ს მესვეურები ეროვნული ნაკრების სავარაუდო ტექნიკური სპონსორის მოსაძიებლადაც მართავენ მოლაპარაკებებს.

ნარდი

# ქუთათურთა თბილისური ასპარეზი

**საქართველოში ნარდს გულშემატკივარი არასდროს ჰკლებია. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენმა მონარდეებმა საერთაშორისო სარბიელზეც გაითქვეს სახელი, სპორტის ამ სახეობის პოპულარობა ერთიორად გაიზარდა. მომრავლდა კლუბები, რომლებიც აქტიური დასვენებისა და გართობის კერად იქცა.**



ერთ-ერთია თბილისის სპორტული ნარდის კლუბი (პრეზიდენტი ანზორ ბაბუხადიაძე), რომელიც სისტემატურად აწყობს საინტერესო შეჯიბრებებს. ახლახან აქ ერთ საგულისხმო ინიციატივასაც ჩაეყარა საფუძველი: თბილისში მცხოვრები ამა თუ იმ ქალაქის წარმომადგენლები ეპაექრებიან ერთმანეთს. ერთი კვირის წინათ კლუბში წარმოშობით ფოთელებმა მოსინჯეს ძალები, გასულ უქმეებზე კი თბილისელი ქუთათურების დაპირისპირება ვიხილეთ. ნახევარფინალში ანზორ საკანდელიძემ 5:1 სძლია ავთანდილ კორძაძეს, ვახტანგ კვინიკაძემ კი მსგავსი ანგარიშით დავით წერეთელი დაამარცხა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში წე-



რეთელმა კორძაძეს მოუგო — 5:3, ხოლო ფინალში საკანდელიძემ კვინიკაძეს დააყრევინა ფარ-ხმალი — 5:1.

ტურნირის გამარჯვებული ანზორ საკანდელიძე ცნობილი კალათბურთელი გახლავთ, ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის ზურაბ საკანდელიძის ძმა, რომელსაც მრავალ შეჯიბრებაში უსახელებია თავი. 1958 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ლევან მოსეშვილთან, ვალერი ალთაბაევთან, ანტონ კაზანჯიანთან და სანდრო გლურჯიძესთან ერთად. კარგახანს თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, ამ უმაღლესი სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდის („ბურევესტნიკი“) ღირსებას იცავდა. სამჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა სტუდენტთა შორის. იგი თამაშობდა ისეთი ცნობილი კალათბურთელების გვერდით, როგორებიც იყვნენ ანზორ ლეჟავა, ლევან მოსეშვილი, ასტამურ აჩბა, თამაზ ტოგონიძე, თამაზ კაკაურიძე, სანდრო გლურჯიძე, რამაზ მანაგაძე, თამაზ დონაძე, მურმან ხაჭაპურიძე, ვალერი ლომაძე, ილია ლეჟავა, თემურ კობახიშვილი, სერგეი კოვალენკო, ლევან ჩხიკვაძე, გივი ბიჭიაშვილი, გუჯა მაისურაძე, გიორგი ჯულელი და სხვები.

**— ნარდთან რამ დაგამეგობრათ?** — ვკითხე ტურნირის ჩემპიონს.

— როგორც მთელ საქართველოში, ქუთაისშიც ნარდი გართობის ერთ-ერთი საყვარელი სახეობა იყო, — მითხრა ბატონმა ანზორმა. — ჩვენს ოჯახში ყველა თამაშობდა მას. მე და ჩემი ძმები მომქანცველი ვარჯიშის შემდეგ შინ რომ ვბრუნდებოდით, ხშირად ნარდითაც ვერთობოდით. თბილისში საამისოდ იშვიათად ვიცლიდი. ამას წინათ ჩემმა მეგობარმა ანზორ ბაბუხადიამ მითხრა, ნარდის კლუბი გავხსენით და ხომ არ გვეწვევიო. უარს როგორ ვეტყოდი. მართალი გითხრათ, მოვიხიბლე აქაურობით. „ოფიციალურ“ შეჯიბრებაშიც პირველად მივიღე მონაწილეობა. აბა, რას ვიფიქრებდი, ჩემპიონი თუ გავხდებოდი. ახლა ინტერესი უფრო გამიღვივდა. მით უმეტეს, თბილისელი ქუთათურები ფოთელებს უნდა შევხვდეთ და საამისოდ სათანადოდაც მოვემზადები.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო კლუბის მესვეურებსა და შეჯიბრების ორგანიზატორებს, რომლებმაც ყოველდღიური დაძაბული საქმიანობის შემდეგ განტვირთვის საშუალება მოგვცეს...

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოვეს.

**ვაჟა დანელია**

**სურათებზე: ანზორ ბაბუხადია აჯილდოებს ანზორ საკანდელიძეს; ფინალური შეხვედრის მომენტი.**

**ანა დვალის ფოტო.**

**P. S. თბილისის სპორტული ნარდის კლუბი საპაექროდ ჟურნალისტებსაც ეპატიჟება. მსურველებმა დარეკეთ 899-54-54-60.**

ფეხბურთი

# დიდი პატივი

**უეფამ თბილისს დიდი პატივი დასდო და ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩების მასპინძლობა დააკისრა.**

აღნიშნული ბატალიები გაისად 18-23 ოქტომბერს გაიმართება, ჭაბუკ „ჯვაროსანთა“ მეტოქეები კი მესამე შესარჩევ ჯგუფში ინგლისი, შვედეთი და პოლონეთი იქნებიან.

სულ კონტინენტურ ფორუმში 52 ნაკრები ითამაშებს, რომლებიც კენჭისყრის შედეგად 13 ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ. აქედან ელიტ-რაუნდში ორ-ორი უძლიერესი და ორიც საუკეთესო მესამეადგილოსანი გუნდი გააღწევს. სწორედ ეს 28 ნაკრები დაიყოფა კიდევ ერთხელ 4-გუნდიან ჯგუფებად, მათში გამარჯვებული შესანიშნავი შვიდეული კი მასპინძელ სერბეთთან ერთად ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

ანალოგიური ფორმატით წარიმართება 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლიც, რომლის დასკვნით ტურნირსაც რუმინეთი მიიღებს.

უეფას შტაბბინაში მოწყობილმა კენჭისყრამ ჩვენს თანამემამულეთა მეტოქეებად პორტუგალია, საბერძნეთი და აზერბაიჯანი დაასახელა. მესამე ჯგუფის საკვალიფიკაციო შეხვედრების ორგანიზატორი მომავალი წლის თერთმეტიდან თექვსმეტ ოქტომბრამდე პორტუგალია იქნება.



სუპერთასი

# ახლოა რუსთავამდე

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ დაასახელა ქვეყნის სუპერთასის გათამაშების ადგილი.**

ეს ნდობა რუსთავის განახლებულ სტადიონს გამოუცხადეს, სადაც თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ 17 დეკემბერს 13 საათსა და 30 წუთზე გამოავლენენ პრესტიჟული ჯილდოს მფლობელს. დასწრება უფასოა.

ძალოსნობა

# აი, ასეთი მწვამს დებიუტი

**ახალგაზრდა მწვრთნელია ალეკო ნოზაძე. საქართველოს ძალოსანთა ნაკრებს რამდენიმე თვის წინათ ჩაუდგა სათავეში. დებიუტი კორეაში — მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰქონდა. იგი წარმატებული გამოდგა, რადგან შვიდწლიანი შესვენების შემდეგ ჩვენებმა ასეთი რანგის შეჯიბრებაზე პირველად მოიპოვეს ჯილდო — 105 კილოგრამ წონით კატეგორიაში პეკინის ოლიმპიადის მონაწილე ალბერტ კუზილოვმა ერთბაშად სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა — ორჭიდის ჯამში (408კ, ატაცსა (187კ და აკვრაში (221კ.**



— ჩემპიონატის შედეგებით კმაყოფილი ვარ,— მითხრა კორეიდან დაბრუნებულმა ალეკო ნოზაძემ. — შეჯიბრების გამოტოვება არ გვინდოდა, ამიტომ უმთავრესად ტრავმამოუშუშებელი სპორტსმენები წავიყვანეთ. ამის მიუხედავად, გია მაჭავარიანმა (105 კგძ მე-8 ადგილი დაიკავა, მძიმე წონაში კი ირაკლი თურმანიძემ საკუთარი მიღწევები გააუმჯობესა. გაგვახარა ალბერტ კუზილოვმა, რომელმაც ორჭიდის ჯამში ბრინჯაოს მედალი მოგვიტანა, რასაც მსოფლიოს ჩემპიონატებზე შვიდი წელიწადი ველოდით. ოდნავ რომ გაგვმართლებოდა, შესაძლოა, ოქროსთვისაც გამოგვეკრა ხელი. არა უშავს, ეს მხოლოდ დასაწყისია. მომავალი სეზონისთვის უკეთ მოვემზადებით და წარმატებებსაც ვამრავლებთ.

**სურათზე: ალბერტ კუზილოვი (მარცხნივძ და ალეკო ნოზაძე.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ჭადრაკი

# ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა

**ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლე ერთდროულად ორ მნიშვნელოვან შეჯიბრებას მასპინძლობს.**

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც იანვარში გაიმართება, მედლებისთვის წრიული სისტემით 12 მანდილოსანი იასპარეზებს. 6 მათგანის ვინაობა ცნობილია, ამდენივეს კი პირველი ლიგის შეჯიბრება გამოავლენს. ამ ტურნირში 36 მონაწილე ეცილება ერთმანეთს. უკვე გათამაშდა 6 ტური. 5-5 ქულით გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცნენ დიდოსტატი თამარ წერეთელი და ანა გავაშელი. ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან სოფიკო ნიკოლაძე, ინგა ჭარხალაშვილი, მარიამ დანელია, ინგა ხურცილავა, მერი არაბიძე, ნინო ბაციაშვილი, ლიკა კოზეშავიძე, ქეთი წაწალაშვილი, სოფიო გვეტაძე, მერი ჟორჟოლიანი, მაკა ფურცელაძე და ნათია ჯალაბაძე. პირველობის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.



მსოფლიოს მე-9 ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის მემორიალი წლეულს მეშვიდედ იმართება სახელოვანი მოჭადრაკის ნანა ალექსანდრიას ინიციატივით. ტურნირზე უკვე გათამაშდა ხუთი ტური. 4,5 ქულით ერთპიროვნულად დავით ჯოჯუა ლიდერობს. 4-4 ქულა მოაგროვეს ლევან ფანცულაიამ, ნინო ხურციძემ, დავით ბენიძემ, თამაზ მგელაძემ, გაიოზ ნიგალიძემ და ლუკა პაიჭაძემ.

**სურათზე: ქალთა პირველი ლიგის შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ინტერნეტიდან

# ბოლტმა პოლიცია დაიკიდა

**ნებისმიერ სპორტსმენს, როგორც ყოველ ადამიანს, დასვენებისა და გართობის უფლება აქვს. განსაკუთრებით ხანგრძლივი და მომქანცველი ვარჯიშის თუ შეჯიბრების შემდეგ, როცა შეიძლება დროებით მაინც დაივიწყო სპორტი და არაფრის კეთება „დაიწყო“, მაშინ მხიარულებას ხომ საზღვარი არა აქვს. ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იამაიკელმა მორბენალმა უსეინ ბოლტმა.**

როგორც იამაიკის დედაქალაქისა და მთავარი ნავსადგურის კინგსტონის პოლიციის კომისრის მოადგილემ გლეიბორ ხაინდქმამ განაცხადა, მართლწესრიგის დამცველები იძულებულნი გახდნენ, შეეწყვიტათ ბოლტის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო საღამო, სპორტსმენის მშობლიურ ქალაქში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობისთვის ფულის მოსაგროვებლად რომ იყო გამიზნული, „სიჩუმის კანონის“ დარღვევის მომიზეზებით.



ამ კანონის თანახმად, ყველა დროისსატარებელი ღონისძიება უნდა შეწყდეს არა უგვიანეს ღამის 2 საათისა, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რას ეძღვნება ეს ღონისძიება.

# მედიკო მეზვრიშვილის ხსოვნას

## ქვეყნის ჭირისუფალი

არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ეპოქაში მოღვაწეობ. მედიკო მეზვრიშვილი ხელმძღვანელობის, ურთიერთობის და ორგანიზებულობის ხელოვანი იყო...

მისმა მოღვაწეობამ დაგვარწმუნა, რაოდენ მკაცრი და მომთხოვნიც უნდა იყოს ხელისუფლებაში მყოფი პიროვნება, თუ გული ხალხისა და ქვეყნის სიყვარულით უძგერს, ეს ყველაფერი შემოქმედებით პროცესად იქცევა. შემოქმედებითი პროცესი კი ადამიანებს არ თრგუნავს, პირიქით სიამოვნებას ანიჭებს. რეგიონში ალმშენებლობის, უამინდობის, ზოგჯერ გადაულახავ პრობლემებთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, მედიკოს მოღვაწეობას დღესაც ყველა სიყვარულითა და მონატრებით იხსენებს.

მედიკო მეზვრიშვილს ხალხთან ურთიერთობის და ნდობის ატმოსფეროს შექმნის დიდი უნარი ჰქონდა, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით, ხშირად უსიტყვოდ, თვალის მკაცრი გამოხედვით თუ წარბის აწევით იტყოდა ხოლმე სათქმელს. მისი ერიდებოდათ და ეშინოდათ კიდეც – ერიდებოდათ სინდისით სავსეთ, ეშინოდათ – ზნეობანაკლულებს. მის მაგალითზე იზრდებოდნენ თაობები, ხელმძღვანელი მუშაკები. მედიკოს მოღვაწეობით ვრწმუნდებით, დროდადრო ქართულ მიწაზე იბადებიან გმირი ქალები, რომლებიც ისტორიას შემორჩებიან ბრძოლით, სიკეთის ქმნით, უანგაროზით. მან ისე განვლო ცხოვრება, რომ ზოგიერთთა დარად არასოდეს უზრუნია პირადულზე, საკუთარი ქონების დაგროვებაზე. დღეს უამრავი დაიტირებს მას წრფელი, ანკარა და



მდუღარე ცრემლით, რომელიც დიდ აიაზმას თუ შეედრება... საბჭოთა სინამდვილეში საკუთარი რისკის ფასად, მან შეძლო და უჭირისუფლა ისეთ ეროვნულ, უნიკალურ სამონასტრო კომპლექსს, როგორიცაა დავით გარეჯი. მის სიახლოვეს განლაგებული სამხედრო პოლიგონები დაზიანებით ემუქრებოდნენ ამ ისტორიულ ძეგლს. მედიკომ ბევრი იბრძოლა სამხედრო გენერალიტეტის უმაღლეს ეშელონებში და მიაღწია კიდეც მიზანს... მერე იყო ის, რომ თავად ჩაუდგა სათავეში ამ კომპლექსის აღდგენა-რესტავრაციას, მედიკოს მიერ დაწესებული სახალხო ზეიმო „გარეჯობა“ კი სრულიად საქართველოს დღესასწაულად იქცა.

მედიკოს თაოსნობითა და დიდი მცდელობით თელავში, „გიგოს გორაზე“ აღადგინეს წმინდა ნინოს ტაძარი, რომელსაც ხალხმა „მედიკოს ეკლესია“ უწოდა. მისი შეუდრეკელი სული ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან იწრთობოდა, როცა მერვეკლასელი მოწაფე უდაბნოს ველზე თანაკლასელებთან ერთად დიდ სამამულო ომში დაჭრილთათვის სამკურნალო მცენარეებს აგროვებდა. სტუდენტობაშიც ყველასთვის სამაგალითო იყო სტალინური სტიპენდიატი...

მომავალ თაობას მარადიულ ძეგლად დარჩება ქალბატონ მედეასგან უდაბნოს აღმშენებლობა, დავით გარეჯის აღდგენა-აღორძინება, ერეკლეს ძეგლი თელავში, თელავის თეატრი, თელავის სტადიონი, ნასახლარებისა და ნასოფლარების აღდგენა-გაცოცხლება, სასტუმრო „ინტურისტი“, ბაგა-ბაღები, სამედიცინო დაწესებულებები, მეურნეობები, ფაბრიკები საგარეჯოში.

მაგრამ ამ ყველაფერთან, სწორუპოვარია ის დიდი იმედი, რაც კახელებს (და არა მარტო მათ) მედიკო მეზვრიშვილის სახით ჰყავდათ – პატრონი, რომელიც რკინის ქალამნებს ჩაიცვამდა და უსამართლოდ არავის დააჩაგვრინებდა, სამართალს მაინც იპოვნიდა. ამის დასტურია საქვეყნოდ გახმაურებული „კაკაბეთის ზარების“ დარისხება.

მედეა მეზვრიშვილის პიროვნულ სიმამაცეს, შეუპოვრობას უკავშირდება კახეთიდან „მხედრიონის“ უკუქცევა, საქვეყნოდ გახმაურებულ პანკისის ხეობაში სიმშვიდისა და სტაბილურობის დამკვიდრება. ამიტომაც გახდა კახეთი ევროპის რეგიონის ასამბლეის წევრი.

მედეა მეზვრიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უკავშირდება ეპოქა, როცა ადამიანებს შეეძლოთ უანგაროდ ელვაწათ ქვეყნის, ხალხის სასიკეთოდ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ებრძოლათ უსამართლობის წინააღმდეგ. აქ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ პასაჟი, რომელიც არც საგარეჯოს და არც თელავს არ უკავშირდება. ის მაშინ არც რაიკომის მდივანი იყო, არც გამგებელი, მაგრამ როგორც ყოველთვის, იყო ლიდერი. მაშინ აფხაზეთში ომი მძვინვარებდა და ქალებით სავსე ოცი ვაგონი დაიძრა დასავლეთ საქართველოსაკენ. მატარებელი კიტოვანის ბრძანებით სამტრედიაში გააჩერეს, ქალები მაშინვე მეოცე ვაგონს მისცვივდნენ, სადაც ქალბატონი მედეა ეგულებოდათ და შველა სთხოვეს – თქვენ გადამწყვეტი სიტყვა გეთქმითო... ასე იყო ნიადაგ, ქალბატონ მედეას სიტყვას სხვა ძალა ჰქონდა, რადგან ჭეშმარიტებას ღაღადებდა, მუდამ მართალი იყო.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილ უაღრესად რთულ, წინააღმდეგობებით, გაუგებრობებით სავსე დროში, რადიკალურად შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც ყველაფერი გადაფასდა და ყველა ღირებულებამ დაკარგა ფასი, მედიკოს „განრისხებას“, მძიმე განცდების მიუხედავად, არ ჰქონდა საზღვარი, საერო საქმეებისათვის თავგანწირული ადამიანისათვის დამახასიათებელი შეუპოვარი ხასიათის გამო არ შეეძლო დანებებოდა უსამართლობას, ზერელობას, ბოროტებას, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ჭეშმარიტ ეროვნულ ღირებულებათა დამცველი და ჭირისუფალი იყო. წუხდა, რომ ყალბმა მამულიშვილობამ და ცრუპატრიოტობამ ბევრს გაუჩინა პოლიტიკოსობის ილუზია, რამაც ქვეყანა ჩიხში მოაქცია. მედიკო თხემით ტერფამდე ქართველი იყო და მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთ ქართველზე აუგს ამბობდა, სწორედ თავისი საქართველო, თავისი სამშობლო ქვეყანა სტკიოდა.

ჩვენ, მედიკოს მეგობრებს, ყოველთვის სიამაყით და თამამად შეგვეძლო გველაპარაკა მის დიდ ადამიანურ ღირსებებზე, დახვეწილ კულტურაზე, სამაგალითო კაცთმოყვარეობაზე, რაც, სამწუხაროდ, ბოლოხანების უხამსობის ფონზე დიდ იშვიათობად და აბუჩად ასაგდებ თვისებად იქცა. მედიკოს, როგორც პირვონებას, გამოარჩევდა ერუდიცია, გონების საოცარი ძალა და სულიერი დიდებულება. ყოველმხრივ ცდილობდა მისი თაობისათვის წილხვედრი გზა უშეცდომოდ განევლო. ამიტომაცაა მისი ბიოგრაფია შეუბღალავი, მოღვაწეობა – ქვეყნისათვის სასიკეთო, წრფელი და საინტერესო.

მედიკო მეზვრიშვილის ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლით ერთი დიდი დედაბოძი წაგვექცა, გაჩნდა დიდი სიცარიელე და მოუნელებელი სევდა, გულსაკლავად გაღარიბდა ისედაც გაღარიბებული ჩვენი სამეგობრო, მაგრამ დარჩა ნათელი კვალი ღვთის, ქვეყნისა და მშობელი ხალხის წინაშე ვალმოხდილი სახელოვანი მამულიშვილისა, რომელიც ნათელ მაგალითად გამოადგებათ მომავალ თაობებს.

მედიკო, მადლობელი ვართ, რომ არსებობდი, მადლობელი ვართ, რომ გვანებივრებდი, პირადი მაგალითით გვაჩვენებდი, როგორ უნდა განვლო ეს შფოთიანი წუთისოფელი. მსუბუქი იყოს შენთვის ესოდენ სათაყვანებელი ქართული მიწა.

მეგობრები



თელავმა, ისე როგორც მთელმა საქართველომ, გამორჩეულად იცის თავისი ღირსეული შვილების დაფასება. პატარა კახის, გაიოზ რექტორის, დავით რექტორის ქალაქში ქვეყნის ცხოვრების ურთულეს დროს სამშობლოს მსახურებისა და ადამიანებზე ზრუნვის ღვთიური ნიჭით ისე ბუნებრივად დაიმკვიდრა ადგილი ხალხის გულში ქალბატონმა მედეა მეზვრიშვილმა, რომ მარტო მის მშობლიურ საგარეჯოსა და თელავში კი არა, მთელ საქართველოშიც კი საკმარისია ახსენოთ მხოლოდ სახელი – მედიკო, რომ ყველას თვალწინ გაცოცხლდეს აუწონავ-გაუზომავი მადლის მატარებელი ამ დიდებული ქალბატონის სახე.

ამბობენ, საბერძნეთის შვიდ ქალაქში ეცილებოდნენ ერთმანეთს თავისი ერთი გამორჩეული შვილის მშობლიურქალაქობაში. ჩვენ არ ვიცით, მომავალში საქართველოს რამდენ ქალაქს გაუჩნდება მედიკოს მშობლიურქალაქობის კეთილი სურვილი, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცით, რომ თელავი აშკარად ეცილება საგარეჯოს ამ პატივში და იცის, რომ თანამედროვე თელავში (ისე როგორც საგარეჯოშიც) თითქმის ვერ ნახავთ ვერც ერთ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ადგილს, მედიკოს ზრუნვით, მედიკოს ღვაწლით, მედიკოს მადლით რომ არ იყოს განათებული.

### მედიკო!

მრავალთაგან ერთს გავახსენებთ ჩვენს თანამემამულეებს – თელავში ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი რომ უნდა დაედგათ „ხალხთა დიდი მეგობრობის სიმბოლოდ“ – იცით, რა – ჩვენ ყველა ხალხს და მათ ღირსეულ შვილებს პატივს მივაგებთ, მაგრამ მოდი, ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო! – ხმამაღლა თავისი რკინის ლოგიკით განაცხადა კომკავშირის ყრილობაზე მაშინ მედიკომ და მიუხედავად მედროვეთაგან გარკვეული წინააღმდეგობისა, მაინც შეძლო და ბოგდან ხმელნიცკის ნაცვლად მეფე ერეკლეს ძეგლი ჩამოასხმევინა ლენინგრადში და დგას დღეს თელავში ხალხის საყვარელი მეფის ძეგლი, როგორც ნიმუში და მაგალითი იმისა, რომ რა დრო, რა რეჟიმი, რა პოლიტიკური სიტუაციაც არ უნდა იყოს, ქვეყნის გამორჩეული შვილები მაინც ახერხებენ იპოვონ თავისი ადგილი ცხოვრებაში და ემსახურონ მამულს, ენას, სარწმუნოებას!..

თელავის და თელაველებისადმი მსახურება უამრავ სიკეთეში აისახა ჩვენო მედიკო, ყოველი ფეხის ნაბიჯზე თქვენი დიდი ძალისხმევით აშენებული სახლები, სკოლები, ბაგა-ბაღები, კულტურისა და სპორტის ობიექტები, მათ შორის ჩვენთვის გამორჩეული ღირებულების თელავის გივი ჩოხელის სახელობის სტადიონი, თელავის სახელმწიფო აკადემიური თეატრის უნიკალური ნაგებობა და სხვა მრავალი გვახსენებს და თაობებს გაახსენებს თქვენს მადლიან საქმეებს.

დღეს თელავი გლოვობს. თელავი ეთხოვება თავისი გამორჩეული შვილების იმედით და რწმენით, რომ მამულის, ხალხის სამსახურში დამაშვრალი ადამიანები არ კვდებიან, ისინი მარადისობის ბინადარნი არიან.

ბევრი მწერლის, პოეტის, მხატვრის შთაგონება იყავით, სიცოცხლეში ჩვენო მედიკო! შთამომავლობა აუცილებლად წაიკითხავს ლევან სანიკიძის „მედეას“, წაიკითხავს უამრავ ლექსს, წერილს, ნარკვევს, თქვენს შესახებ რომ წერდნენ, ნახავენ ცნობილ მხატვარ-კერამიკოსის ნანა ბოტკოველის მიერ შექმნილ ხატს – „საუკუნის ქალბატონი“, რომელიც თელაველებმა მოგაკუთვნეს თქვენ გასული საუკუნის დასასრულ და ახალი საუკუნის დასაწყისში. ჩვენ კი თქვენთან გამოსათხოვარ სიტყვას ერთი ცნობილი ქართველი პოეტის ექსპრომტად ნათქვამი ლექსის ბოლო სტრიქონით დავასრულებთ:

– შენ ძვირფასო, შენ მედეად დარჩები!..

თელაველები

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, მისი გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ასოციაციის გამგეობის წევრის, ღვაწლმოსილი, ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის დამაშვრალი, მადლმოსილი, მოყვასის დედაკაცურად თანამდგომი ღირსეული ქალბატონის

მედეა მეზვრიშვილის

გარდაცვალებას და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

დავით სარიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ოჯახის უახლოესი მეგობრის, საუკეთესო საზოგადო მოღვაწის

მედეა მეზვრიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

## მისი ოჯახი მისი სამშობლო იყო

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ.საგარეჯოში გარდაიცვალა საქართველოს ღირსეული შვილი, ყოფილი საბჭოთა საქართველოს პარტიული და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მოღვაწე მედეა არჩილის ასული მეზვრიშვილი.

მედეა მეზვრიშვილი დაიბადა 1930 წელს, საგარეჯოში. აქ დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

წლების განმავლობაში მედეა მეზვრიშვილი მუშაობდა კომკავშირის თელავის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველ მდივნად, თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილედ კახეთის მხარეში, თელავის რაიონის გამგებლად.

სადაც კი უმუშავია, მედეა მეზვრიშვილი ყოველთვის გამოირჩეოდა პრინციპულობით, დასახული მიზნისკენ თანმიმდევრული სწრაფვით, ადამიანებთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით. მან აღზარდა ხელმძღვანელ მუშაკთა თაობები, რომელთათვისაც იგი წარმოადგენდა მაგალითს საქმისადმი დამოკიდებულებაში.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ქალბატონ მედეას მოღვაწეობა საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობაზე. ეს იყო მთელი ეპოქა გარეკახეთისათვის, არნახული აღმშენებლობით, უამრავი ეროვნული საქმით...

განუზომელია მედეა მეზვრიშვილის დამსახურება საგარეჯოს რაიონის აღმშენებლობის საქმეში. მისი მოღვაწეობის პერიოდში საგარეჯო პატარა და უმნიშვნელო დაბიდან გადაიქცა ინდუსტრიულ ქალაქად. საგარეჯოში აშენდა მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის ფაბრიკები, რამდენიმე ქარხანა და ფაბრიკა, ათეულობით საცხოვრებელი კორპუსი, კულტურის სასახლე, რაიონული და ბავშვთა საავადმყოფოები (სამწუხაროდ, ბევრი ქარხანა და ფაბრიკა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში დაინგრა და განადგურდა).

მედეა მეზვრიშვილი იყო საქართველოს დიდი პატრიოტი, რასაც საქმით ამტკიცებდა. მისი დამსახურებაა, რომ



დღეს საგარეჯოს რაიონის ფარგლებშია საქართველოს უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. სწორედ ქალბატონ მედეას ინიციატივითა და უდიდესი ძალისხმევით დაუბრუნდა იგი საგარეჯოს რაიონს და მეცხვარეთა სადგომად ქცეულ წმინდა ადგილზე კვლავ აღსდგა წირვა-ლოცვა. ხელახლა გაშენდა სოფელი უდაბნო, ტარდიციად იქცა რელიგიურ-სახალხო დღესასწაულის „გარეჯობის“ ჩატარება. ამას მოჰყვა უდაბნოში სამონასტრო ცხოვრების აღორძინება, რასაც მუდამ უჭერდა მხარს და ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქალბატონი მედეა.

ქალბატონ მედეას ოჯახი არ შეუქმნია, მისი ოჯახი იყო მისი სამშობლო, რაიონი და მისი ხალხი.

მედეა მეზვრიშვილის, როგორც დიდი მამულიშვილის, დიდი პიროვნებისა და პატრიოტის ხსოვნა მარადის დარჩება მეგობრებისა და მადლიერი თაობების გულებში.

გარეჯელები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო მეცნიერებათა ღვაწლმოსილი მოღვაწე, პროფესორი

ვაჟა დავითის ძე გოცირიძე

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.



ვალიდა მახარაძე, გრამიტონ კვარაცხელია, თეიმურაზ და ავთანდილ კვარაცხელიები ოჯახის წევრებთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ბიძაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვლადიმერ ლევანის ძე გულუა

და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს ლამარა ესართიას, შვილებს მედიკო და დათო გულუებს.



თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის

## კალეიდოსკოპი

# ბედნიერება 50 პროცენტით თურმე გენებზეა დამოკიდებული

**გენეტიკური წინასწარგანწყობა 50-70 პროცენტით განსაზღვრავს ადამიანის ინტელექტუალურ უნარს, 40 პროცენტით – პროფესიულ ხარისხს და 34 პროცენტით – მიდრეკილებას უხეში ან ზრდილობიანი ქცევისადმი.**



**ბავშვების 4-5 პროცენტი იბადება ამა თუ იმ მემკვიდრეობითი დაავადებით.**

1 მ-ზე მეტი – ასეთი სიგრძის იქნება ადამიანის **დნმ,** თუ მას გავჭიმავთ. ჩვეულებრივად მოლეკულა უჯრედშია განთავსებული და მისი დიამეტრია 10-15 მიკრონი.

**მამაკაცებში** **გენეტიკური მუტაცია გვხვდება ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ქალებში.**

არის დაახლოებით 3 ათასი გენეტიკური დაავადება, რომლებიც გადაეცემა მემკვიდრეობით.

**ადამიანის ბედნიერება** 50 პროცენტით არის დამოკიდებული გენებზე. ეს დასკვნა გაკეთდა ადამიანთა რამდენიმე თაობის შესწავლის შემდეგ. ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების მიუხედავად, ისინი უფრო ბედნიერად მიიჩნევენ თავს, ვიდრე მათი წინაპრები.

რაც უფრო ასაკოვანია მომავალი დედა, მით მეტია ბავშვის გენეტიკური დაავადებებით დაბადების ალბათობა.

**გენეტიკური ინფორმაციის 99,9 პროცენტი ყველა ადამიანს ერთნაირი აქვს.** ჩვენს უნიკალობას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ სხვაობას სულ რაღაც 0,1 პროცენტით.

**ადამიანს 20 500 გენი აქვს.** გენების ასეთივე ოდენობით შეუძლია „დაიტრაბახოს“ მდოგვმაც.

„Аргументы и факты“

## ცრემლი

# მედიკოს ხსოვნას ვენაცვალე!



ხელოვანი მომავალში უსათუოდ შექმნის ქალის ქანდაკებას ცალ ხელში შემართული მახვილით, მეორეში მეთორმეტე საუკუნის ქართველთა სახელმწიფოს რუკით და ამ ქმნილებაში ყველა, ვინც იცნობდა, მედეა მეზვრიშვილს იგულისხმებს. ეს ქანდაკება ქალბატონ მედეას მოღვაწეობის ძირითადი ქალაქის ერთ-ერთ მოედანს დაამშვენებს – ეს ჩემი რწმენაა, რადგან ყოველთვის, როცა პირდაპირ ვხვდებოდით, ან უეცრად გამახსენდებოდა ხოლმე, ასეთად მესახებოდა ჩემი და და მეგობარი მედიკო.

ღმერთო, ნუ მოაკლებ ქართველ ერს მედეა მეზვრიშვილისთანა თავდადებულ მებრძოლ მოღვაწეებს.

მედიკო, ჩემო დაიკო, იძინე მშვიდად და ამაყად, შენივე მოწოდებით ნაკისრი ვალი ქართველთათვის პირნათლად გაქვს მოხდილი.

გეამბორები! –

შენი ძმა – [signature] 08-12-2009

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +8 |
| ქუთაისი. | +9 – +18 |
| ბათუმი. | +9 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +14 |
| თელავი. | +1 – +8 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6734 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7877 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7592 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3389 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0852 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0946 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1179 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4614 ლარი |



## ანეკდოტები

– სირჩა კონიაკს ინებებთ თუ ჭიქა ჩაის? – ეკითხება სტუმარს დიასახლისი.

– ჭიქა კონიაკს.

* * *

მოგება – ეს ბუღალტრის წარმოსახვის ნაყოფია.

* * *

როგორ უნდა ებრძოლო კორუფციას ქვეყანაში, სადაც კუპიურების სიგანის კონვერტები იბეჭდება?

* * *

– მოგწონს სიდედრი? – ეკითხება სიმამრი სიძეს.

– ძალიან მომწონს.

– კარგია. საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება – მიყვარს იუმორის გრძნობის მქონე ხალხი.



* * *

მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ხდება, რომ ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაზე გადასვლისას ადამიანები ორივე მხარეს იყურებიან...

* * *

კაცობრიობის ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ, მისი აზრით, რუსეთი მსმელი ხალხის ქვეყანაა. არადა, ბოლო მონაცემებით, რუსეთის მოსახლეობა წელიწადში იმაზე ნაკლებს სვამს, ვიდრე ამერიკა, გერმანია, ავსტრალია, კანადა და ჩინეთი ერთად აღებული.

* * *

სამარშრუტო ტაქსი. ადამიანები დაძაბულნი სხედან, აჩქარებით სუნთქავენ, ოთხი ფენა მარლა აქვთ ცხვირზე აკრული. გაჩერებაზე „მარშრუტკაში“ თვალებჩასისხლიანებული კაცი ამოდის და გაუთავებლად ახველებს.

– ღმერთო! – შეშფოთდებიან მგზავრები.

– ნუ გეშინიათ, ეს გრიპი კი არა, ტუბერკულოზია!

– კიდევ კარგი! – შვებით ამოისუნთქეს მგზავრებმა.

## მილოცვა



საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრები დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი პრეზიდიუმის წევრს, ქართული ისტორიოგრაფიის გამოჩენილ მკვლევარს და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოსს, ბატონ როინ მეტრეველს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი

## დღის კალენდარი — 9 დეკემბერი

**27-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**

ხსენება ღირსი ალვიპი მესვეტისა (VIIძ; ღირსი იაკობ განდეგილისა (457ძ.



ამოდის 07.16
ჩადის 16.29



ამოდის 12.55
ჩადის 00.12

### დაიბადნენ:

**1608 – ჯონ მილტონი,** ინგლისელი პოეტი, გარდაიცვალა 1674 წელს.

**1717 – იოჰან ვინკელმანი,** გერმანელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი, კლასიციზმის ესთეტიკის ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1766 წელს.

**1844 – ალექსანდრე ცაგარელი,** ფილოლოგი, ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1929 წელს.

**1917 – ლეო რეინუოტერი,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

**1943 – მიხაილ პიოტროვსკი,** რუსი ისტორიკოსი, ერმიტაჟის დირექტორი.

### გარდაიცვალნენ:

**1292 – საადი,** სპარსი მოაზროვნე და მწერალი, დაიბადა 1203 წელს.

**1814 – ჯოზეფ ბრამანი,** ჰიდრავლიკური წნეხის ინგლისელი გამომგონებელი.

**1937 – ნილს გუსტავ დალენი,** შვედი ინჟინერი, სინათლის ავტომატური რეგულატორის გამოგონებისათვის 1912 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, დაიბადა 1869 წელს.

**1941 – დმიტრი მერეჟკოვსკი,** რუსი პოეტ-რომანისტი.

### მოვლენები:

**1832** – იასე ფალავანდიშვილმა გასცა 1832 წლის შეთქმულება, რომელიც მიმართული იყო საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

**1909** – ავსტრალიაში თვითმფრინავით პირველი გაფრენა 11 მეტრის სიმაღლეზე შეასრულა ცნობილმა ავტომრბოლმა კოლინ დეფრისმა.

**1993** – ბრიუსელში რფ პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერა ერთობლივ პოლიტიკურ დეკლარაციას ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის თანამშრომლობის შესახებ.

**2000** – გერმანიაში დაანგრიეს „ცივი ომის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლო – ბერლინის კედელთან მდებარე სადარაჯო კოშკი.

**ღირსსახსოვარი დღე:**

**ტანზანია** – რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.